ეროვნული თავისუფლები — პიროვნული თავისუფ
პიროვნული თავისუფლ — ეროვნული თავისუფლები

საქართველო

საქართველოს სახალხო ფრონტი
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

№ 1 (57)

11 იანვარი, 1992 წ.

«ბლოვის დრო და ვიგლოვოთ, ძმანო!»

ნოდარ გრიგალაშვილი

* * *

„საშინელი რამეა ომი, მაგრამ უსაშინელესია სამოქალაქო ომი!.. ამ ჭურვით დატენილი იყო ფრანგული ზარბაზანი: ფრანგი იყო ის, რომელმაც დაუმიზნა და ისროლა, და ისინიც, რომელნიც ამ ჭურვმა დახოცა.

კიდევ არაფერია თუ კაცს ნახევარი მილის მანძილზე ჰკლავ; მაგრამ, ბატონო ღე მერჟი, რა ძნელია, როდესაც მახვილი უნდა ჩასცე იმ კაცს, რომელიც თქვენსავე ენაზე გეველაპარაკებათ ნუ მომკლავო!.. და მაინც ჩვენ ეს გავაკეთეთ თვით ამ დილასვე.“ ეს სიტყვები ფრანგი მწერლის რომანში მაქვს ამოკითხული და შორეული ქვეყნის შორეულ ამბებს ეხება. როცა მას ვკითხულობდი, რას წარმოვიდგენდი, რომ ბართლომეს ღამეთა მთელი წყება განმეორდებოდა მეოცე საუკუნის მიწურულის საქართველოში.

ტრაგედია 22 დეკემბერს არ დაწყებულა. ივი მთელი წლის განმავლობაში მზადდებოდა.

ბავშვობიდანვე დუტუ მეგრელის საოცარ ლექსს ვისისხლხორცებდით:

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო,
ყველა ჩემი საშობლოა —
საყვარელი საქართველო.

ერთი წლის მანძილზე კი ამ ჩვენმა „ეროვნულმა“ ხელისუფლებამ ერთიანი საქართველოს ხატი უმსგავსო მოწოდებებით დაგვიქუცმაცა. ახლა ამბობენ, კუთხე კუთხეს გადაჰკიდეს, ტომი ტომს, მეზობელი მეზობელს, ნათესავი ნათესავს, შვილი დედას და დედა შვილსო.

ასეც იყო. ერთი კუთხით მეორეს ემუქრებოდნენ, მაგრამ როგორც კი ეს გააცნობიერა საზოგადოების ნაწილმა, პრეზიდენტს ზურგი აქცია და მასა და მის მომხრეთ დაუწყო ბრძოლა. ასე დაემტერა უკვე არა კუთხე კუთხეს, არამედ სვანი სვანს, მეგრელი მეგრელს, კახელი კახელს და საქართველო ორ მტრულ ბანაკად გაიხლიჩა.

ორ მტრულ ბანაკად გაიხლიჩა საქართველოს დასაცავად შექმნილი შეიარაღებული ძალა — გვარდიაც, და კატასტროფაც მოხდა — ძმამ ტყვია ესროლა ძმას.

ვინც მოსალოდნელი საფრთხის თავიდან ასაცილებლად ვიბრძოდით და ვისაც საქართველოს ერთგულება გვავალებდა ხელისუფლებისათვის საქციელი დაგვწუნებინა, მოღალატეებად გამოვცხადდით.

ვინც პრეზიდენტს აჰყვა და მის მოწოდებებს ხმამაღლა გაჰყვიროდა — მის ერთგულებად.

ამ „ერთგულმა“ ხალხმა დაღუპა პრეზიდენტი და მათ ერთობლივად კატასტროფამდე მიიყვანეს საქართველო.

* * *

მოვიდა ახალი ხელისუფლება. გვინდა თუ არ გვინდა, ამ ხელისუფლების უკან სისხლიანი ნაკვალევი მოსჩანს. არ არსებობს ჩემთვის მიზანი, რომლის მიღწევის საშუალებად

დასტურს მივცემდი ყველა გზას. არის აზრი, რომ მათ სხვა გამოსავალი არ ჰქონდათ. სწორედ ამიტომ, ისინი ტრაგიკული ბედის პირრვნებები არიან. არის ომი, როცა დამარცხება არ გსურს, მაგრამ გამარჯვებაც არ გიხარია, როცა გამარჯვებული ტრაგიკული ბედის კაცად იქცევა.

არსებულ ხელისუფლებას ესეც არ ჰქონდა გაცნობიერებული და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ომის დაწყების მეორე დღეს მადლობითაც კი მოიხსენიეს მათ მხარეს მებრძოლი რამოდენიმე პირის გვარ-სახელი.

* * *

ქართველს ქართველის მოკვლისათვის გაზეთში რომ მადლობას გამოუცხადებ ამაზე დიდი უბედურება რა უნდა მოხდეს, უფრო უჭკუო ხელისუფლება, ან უფრო ტვინ და სინდისგარეცხილი რედაქცია როგორ უნდა წარმოიდგინო?!

ქართველი იყო ის, რომელმაც ზარბაზანში ჭურვი ჩადო და ისროლა. ისინიც, რომელნიც ჭურვმა დახოცა. ვინ იცის, რამდენ მებრძოლს უწივის ყურში მისსავე მშობლიურ ენაზე ამოთქმული ვედრება-ნუ მომკლავ...

ჩვენ აქამდე მონურ საზოგადოებაში გაზრდილი თაობა გვერქვა.

დღეიდან ტრაგიკული თაობაც გავხდით.

რა ვთქვათ, რით ვინუგეშოთ თავი. ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვართ იმ საფლავების წინაშე, რომელნიც ასე მრავლად გაჩნდა 20-25 წლის წინ დაბადებული ბიჭების ხარჯზე...

ნუ გავამრავლებთ ამ საფლავებს. ისევ იარაღით, კვლავ ტყვიის სროლით ნუ ვეცდებით ერთურთის ვნებების ჩაცხრობას.

უაზბეგის გონიერი გმირის—სვიმონ ჩოფიკაშვილის სიტყვებით ვარჩევ ჩემი სათქმელის დასრულებას:

„ეხლა გავჩუმდეთ, ძმანო! გავჩუმდეთ იმათ, რომ ერთმანეთისა აღარა გვესმის-რა. ეხლა ხალხი ავად არის ერთის ავადმყოფობით, საერთო ხენით. მოვა დრო და ღრუბელი ჩვენშიც გაიმჭვრეტის. მზე გამოიხედავს, დრო შეიცვლების და ავადმყოფი მოკეთდების. ძმა ძმას დაინახავს და გაერთიანებული საქართველო, ერთხორც და ერთსულ გადაქცეული აღდგების!..

აღსდგების იმად, რომ მტერს მტრის საკუთნო მიუწყოს და მოუვარეს მოუვრისა! ეხლა კი ჩვენც დავიშალნეთ, გავჩუმდეთ და ჩვენც ჩვენს ქოხს მოვუაროთ...

ბლოვის დროა და ვიგლოვოთ, ძმანო!“

გაზეთ «საქართველოს» მკითხველებს

რედაქციაში რეკავენ მოქალაქენი და გვსაყვედურობენ იმის გამო, თუ იატაკზე არ გამოხატავს მიმდინარე ამბებისადმი თავის დამოკიდებულებას ბატონი ნოდარ ნათაძე.

მოქალაქეებს ვაუწყებთ, რომ 20 დეკემბრიდან დაწყებული, თითქმის ყოველდღე, ბატონი ნოდარი აკეთებდა განცხადებებს, სადაც მკაფიოდ გამოხატავდა თავის პოზიციას. ეს განცხადებები მრავლდებოდა ქსეროქსზე და ვრცელდებოდა ხალხში.

აღნიშნული განცხადებები ჩვენს ხელთაა და მათ რედაქცია მომდევნო ნომერში გამოაქვეყნებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალისტები სამხედრო საბჭოში

საუბრობენ ბატონები: ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი

7 იანვრის
პრესკონფერენციიდან.

კითხვა: ვინ გასცა დღეს განკარგულება დემონსტრაციის დაშლის შესახებ?

ჯ.ი. ჯაბა იოსელიანი: მე ვბრძანე და ამას გავაკეთებთ ხვალაც, ზეგაც, რადგან ჩვენ გამოვაცხადეთ საკომენდატო საათი. ჩვენ დავაყენეთ მხოლოდ მინიმალური მოთხოვნა — არ უნდა ჩატარდეს მიტინგები და დემონსტრაციები, რადგან ქალაქში ჯერ კიდევ საომარი მდგომარეობაა, მიმდინარეობს სროლები; უნდა შეწყდეს ქუჩებში მოძრაობა 23 საათიდან 6 საათამდე და ეს ის დროა, როცა ხალხს სძინავს. სხვა არავითარი აკრძალვა ჩვენ არ გაკვიკეთებია. ნამდვილად არ უნდა მოხდეს ხალხის ქუჩებში შეკრება ამას პროვოკაციულად იყენებენ ის ქალები, რომლებსაც „შავ კოლგოტკებს" ან „გამსახურდიას ბეტეერებს" ეძახიან, რომლებმაც მოახდინეს თითქმის ყველა ექსცესის პროვოცირება.

მსოფლიოში არსად არ მომხდარა, როცა მოშიმშილეს, რომელსაც აქვს გარკვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური მოთხოვნა, შიმშილითვე დაპირისპირებოდეს ვინმე. ეს ქალები შიშიშილობდნენ მოშიმშილეების წინააღმდეგ. ისინი ფაქტიურად არ შიშმშილობდნენ, მათ კვებავდნენ, მაგრამ არსებობდა დაპირისპირების ამგვარი ფორმა.

თქვენ იცით რა არის შტაიკბეხერი. გერმანიაში გაფიცვების დროს სპეციალურად მიჰყავდათ ადამიანები, რომლებიც მუშაობდნენ, მაგრამ არსად მოშიმშილეებს შიმშილობით არავინ დაპირისპირებია. ეს ქალები საკმაოდ საშიში პროვოკატორები არიან. მიუხედავად ამისა ხალხს აქვს უფლება შევიდეს სპორტის სასახლეში, ფილარმონიაში და იქ ჩაატაროს მიტინგი.

კითხვა: დემონსტრაციის დაშლის შედეგად არიან თუ არა დაჭრილები?

ჯ.ი. არა დაჭრილები არ არიან. ისროდნენ სასწავლო ვაზნებით. ერთადერთი შემთხვევა იყო, როცა ვიღაცამ საბრძოლო ვაზნებით გაისროლა, რადგან მას სასწავლო ვაზნები გაუთავდა.

კითხვა: რას გვეტყვით კულუმბეგოვის შესახებ?

ჯ.ი. კულუმბეგოვი ჯერ კიდევ იმყოფება საკონტროლო პუნქტში (კაპ) რადგან ჯერ არ გადაწყვეტილა ტრანსპორტის საკითხი. არ ვიცი, ჩვენდამი უნდობლობისა თუ რაიმე სხვა მიზეზის გამო მას უნდა სამხედრო თვითმფრინავით გაფრენა. ჩვენ კი ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ მოლაპარაკება სამხედროებთან. ჟურნალისტებს აქვთ საშუალება თვითონ შეხვდნენ კულუმბეგოვს.

კითხვა: აქვს თუ არა სამხედრო საბჭოს სუვერენული სახელმწიფოების თანამეგობრობასთან ურთიერთობის რაიმე მიზნები?

ჯ.ი. ჩვენ არა ვართ უფლებამოსილი ამ საკითხის გადაწყვეტა, ამ საკითხს გადაწყვეტს ახალი მთავრობა.

კითხვა: ქალაქის ცენტრში გამოჩნდა დოლბანდი სამხედრო ტექნიკა. გქონდათ თუ არა დახმარება?

თენგიზ კიტოვანი: როცა არსებობს გვარდია, მას აქვს თავისი შეიარაღება.

კითხვა: დგანან თუ არა თქვენს პოზიციაზე უშიშროების კომიტეტი „ომონი" და მილიცია?

თ.კ. შემიძლია ვთქვა, რომ უშიშროების კომიტეტი ოპოზიციის მხარეს იდგა. „ომონმა" კი იგრძნო რა, რომ გამსახურდია შეიძლებოდა გაქცეულიყო, გადმოვიდა ჩვენს მხარეს. აქვე ვიტყვი იმას, რომ საქართველოში ომონი აღარ იარსებებს.

კითხვა: გუშინ ტელევიზიით გადაიცა ედუარდ შევარდნაძის გამოსვლა, სადაც მან ხურვილი გამოხატა შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის და კრიზისის გამო დახმარებოდა საქართველოს. უკანასკნელი ცნობით მან შექმნა საქართველოსთვის დახმარების საერთაშორისო ფონდი. როგორ გესახებათ მისი როლი არსებული კონფლიქტის მოგვარებაში.

თ.კ. მოხდა ისე, რომ ზვიად გამსახურდიამ მთელი მასები აამხედრა შევარდნაძის წინააღმდეგ. შევარდნაძე ქართველია. მას ჩვეულებრივად უყვარს სამშობლო და მას შეუძლია დაბრუნდეს თავის სამშობლოში.

ერთი რამ კი საფრთხილოა: გამსახურდია ჩვენ კრემლისა და შევარდნაძეს აგენტებს გვეძახდა. ის ამზადებდა ხალხს ჩვენს წინააღმდეგ.

კითხვა: სად იმყოფება ახლა ბატონი ჯაკა ასათიანი?

თ.კ. ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი ქართული სიმღერა შემიძლია მოვიშველიო: „სადა ხარ ჩემო სულიკო..."

კითხვა: გქონდათ თუ არა რაიმე კონტაქტი საქართველოს კათალიკოსთან?

თ.კ. სხვათაშორის, ვიტყვი, რომ ჯერ კიდევ შაშინ, როცა ჩვენ საქართველოს ტელე-რადიო დეპარტამენტის შენობასთან ვიდექით, მოვიდნენ სპატრიარქოს წარმომადგენლები და გვთხოვეს კათალიკოსის დაცვა, რადგან გამსახურდიას ცნობილი ქალები თავს დაესხნენ მის რეზიდენციას.

ჯ.ი. როცა გამსახურდია გაიქცა, მე მივედი კათალიკოსთან და ვესაუბრე მას. კათალიკოსმა მოგვიწოდა, რომ ჩვენ არ მოვაწყოთ ანგარიშსწორება, რომ ვიყოთ მიმტევებელნი მტრებისადმი.

მანვე გამოთქვა სურვილი, რომ დაენგრეული მთავრობის სახლის ადგილზე აშენდეს ეკლესია. ამ ადგილას ადრე ეკლესია იყო, რომელიც კომუნისტებმა დაანგრიეს და ააშენეს მთავრობის სასახლე. ოცდაჩვიდმეტში სწორედ ამ სისხლიან შენობაში ხდებოდა ყველა არაადამიანური გადაწყვეტილების მიღება. კათალიკოსმა ბრძანა, რომ მას აქვს გეგმები და აქვს საშუალება, რომ ამ ადგილას ეკლესია აღსდგეს.

რედაქტორისაგან: თბილისში მართალია კომენდანტის საათი გამოცხადებული, მაგრამ მშვიდობიანი მიტინგის იარაღით დარბევას ვერ გავამართლებთ კომენდანტის საათით, რამეთუ ერთი ქართველის სიცოცხლე უფრო ღირებულია, ვიდრე ნებისმიერი წეს-კანონი.

„სიკვდილი-თქვენ, ხელისუფლება-ჩვენ!"

მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო-ძმათაშორისი ომი, ომებს შორის ყველაზე საშინელი, თავისი [illegible] „წესით" რომ ჩატარდ[illegible] დაუნ[illegible] ზოცვა-ყლეტით, ნგრევით, [illegible]

[illegible] ეს რომ მოხდერი[illegible] ზეობა [illegible]

[illegible]

[illegible] ტელ[illegible] ერთ[illegible]

[illegible] ტელ[illegible] ტელ[illegible] ტელ[illegible] ერ[illegible] ბ[illegible]

ელემენტარულად დავსვათ საკითხი: ვისკენ იყო მიმართული მოწოდება? ვის უნდა ებრძოლა?!

არა. [illegible] ეს არაა რეტორიკული [illegible] „[illegible] „[illegible] „[

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომან გვენცაძე:

ახლო მომავალში სიმშვიდე იქნება

თბილისის პირველ საავადმყოფოში დაჭრილების სანახავად მისულთ, შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელთან, ბატონ რომან გვენცაძესთან შეხვედრის შესაძლებლობა მოგვეცა.

ვფიქრობთ, ბატონ რომანთან საუბარი მომავალი ისტორიისათვის გარკვეულ დოკუმენტს წარმოადგენს და მკითხველთათვისაც საინტერესო იქნება.

-საქართველოში ეროვნული მოძრაობის პირველი ტალღის აგორების შემდეგ თქვენი დახმარებით ხშირად შესაძლებელი ხდებოდა ხელისუფლების წარმომადგენელთა და ოპოზიციაში მყოფ ეროვნულ ძალთა მოლაპარაკება და შეთანხმება.

ფაქტია,რომ შეუძლებელი აღმოჩნდა ძმათამკვლელი ომის თავიდან აცილება. ბატონ თენგიზ კიტოვანის ხელმძღვანელობით მოქმედ ეროვნულ გვარდიასა და პრეზიდენტს შორის ჩატეხილი ხიდის გამართელება ვერავინ შეძლო. ნუთუ ასე ძნელი აღმოჩნდა მათი შერიგება?

-ჯერ კიდევ ძალიან, როდესაც ეროვნული გვარდია შავნაბადაზე გახლდათ დაბანაკებული, ბატონმა თენგიზ კიტოვანმა გააკეთა განცხადება, რომელიც ჩაიწერა საქართველოს ტელევიზიამ და ტექსტი გადმომეცა მე პრეზიდენტისთვის გასაცნობად. ეროვნული გვარდია ბატონი თენგიზის ხელმძღვანელობით მშვიდობიანობის დროს პარლამენტისადმი დაქვემდებარებას მოითხოვდა, ომის შემთხვევაში-პრეზიდენტისადმი დამორჩილებას; პრეზიდენტზე თავდასხმის შემთხვევაში ეროვნული გვარდიის მიერ დაცული იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტი. ხელისუფლების მხრიდან თუ მოხდებოდა ხალხზე თავდასხმა, გვარდია იტოვებდა უფლებას ებრძოლა პრეზიდენტის წინააღმდეგ. ბატონ ზვიად გამსახურდიას ეს წინადადება მოეწონა. არ ვიცი, შემდეგ ვინ რა ურჩია, ბატონმა პრეზიდენტმა გვარდიის მოთხოვნებიდან არც ერთი არ გაითვალისწინა. მოლაპარაკება ჩაიშალა.

ტელევიზიის შენობასთან ეროვნული გვარდიის ჩამოსვლის შემდეგ კიდევ ვცადე მათი შერიგება. უბედურება ისიც გახლავთ, რომ ზვიად გამსახურდია და თენგიზ კიტოვანი დიდი ხნის მეგობრები იყვნენ და მიუხედავად მათ შორის დაძაბული ურთიერთობისა ერთმანეთი არ სძულდათ. მივედი ბატონ თენგიზთან. ვუთხარი, რომ პრეზიდენტთან შერიგება შეიძლებოდა. არც მე ვარ მტრულად განწყობილიო და ბატონ თენგიზს ცრემლები მოადგა. თენგიზ კიტოვანი სიკეთისაკენ ადვილად დასაყოლიებელი კაცია და დამპირდა, თვითონვე დაურეკავდა პრეზიდენტს. ბატონ ზვიადს მოვახსენე ამის თაობაზე. ისიც შემპირდა, რომ მოლაპარაკება აუცილებლად შედგებოდა.

მეორე დღეს ვიღაცა პროვოკატორმა მოიტანა ინფორმაცია, თითქოს მერაბ კოსტავას საზოგადოების ბიჭები პრეზიდენტის სახლისაკენ ტანკებით დაძრულიყვნენ და ალყა შემოერტყათ. რა თქმა უნდა, ყველაფერი ჭორი აღმოჩნდა. შტაბში დაბრუნებულმა ბატონ თენგიზს დაურეკე და ვკითხე შესაძლო მოლაპარაკებია შესახებ. მან მითხრა, რომ უკვე დაურეკა პრეზიდენტს, მაგრამ ბატონმა ზვიადმა არ ისურვა მასთან საუბარი. გამომლანძღა — „შენ ვინ ხარ, რას მირეკავ, რომ მირეკავ, კაცს, რომელმაც ამბელა იმპერია დავანგრიეო." ავუხსენი პრეზიდენტის აღელვების მიზეზი, მაგრამ ყველაფერი დაგვიანებული აღმოჩნდა.

ბოლო მოლაპარაკებისა და შერიგების მცდელობა ოცდაორ დეკემბრამდე ერთი კვირით ადრე იყო. ავედი ბატონ თენგიზ კიტოვანთან და ვთხოვე, რომ დაძაბულობის გარეშე მომხდარიყო მათი შერიგება. მან გამოთქვა პრეზიდენტთან დალაპარაკებისა და შერიგების სურვილი. ამ მიზნით გვარდიის წარმომადგენლები, ბატონები თამაზ დუმბაძე, კახა გველესიანი და მე შევხვდით ბატონ ზვიადს მინისტრთა საბჭოს შენობაში. ეროვნული გვარდიის მოთხოვნებიდან ძირითადი გახლდათ ის, რომ მშვიდობიანობისას პარლამენტს დაქვემდებარებულიყვნენ. პრეზიდენტმა აუხსნა მათ, რომ ამას სიბნელედ ჩაუთვლიდნენ, ვინაიდან მსოფლიოში არსად ასე არ ხდება. პრეზიდენტის სპეციალურად ბატონმა კახამ მაგალითად რამდენიმე სახელმწიფო დაასახელა. თბილი საუბრის მიუხედავად ვერ შეთანხმდნენ. შემდეგ კი ოცდაორი დეკემბერიც დადგა...

— ბატონო რომან, ოცდაორი დეკემბრის სისხლიანი დილა წინა დღის სალამოს მოჰყვა...

— პირველი საშუალო სკოლის წინ მიმდინარე მიტინგის ორგანიზატორებს ყოველდღე ვხვდებოდი. ბატონები თენგიზ სიგუა და თენგიზ კიტოვანი, რომელთაც დაცვის მიზნით ოციოდე შეიარაღებული გვარდიელი ახლდათ, გულწრფელად გვპირდებოდნენ, რომ მათი მხრიდან ტყვია არ გავარდებოდა. ოცდაერთი დეკემბრის ღამეს რუსთაველის გამზირზე სიტუაცია უკიდურესად დაიძაბა. პროვოკაციის თავიდან აცილების მიზნით ბატონ თენგიზ სიგუას ვთხოვე მიტინგის დაშლის თაობაზე და მივეცი პირობა, ყველაფერს გავაკეთებდი, რათა მეორე დღეს, ე.ი. ოცდაორ დეკემბერს პრეზიდენტსა და ოპოზიციის ლიდერებს შორის მოლაპარაკება გამართულიყო. მიტინგი დამთავრებულად გამოცხადდა, მაგრამ სკოლის წინ თავმოყრილი საზოგადოება არ დაშლილა, რის გამოც ბატონი თენგიზი 10-12 გვარდიელთან ერთად იძულებული იყო ხალხთან დარჩენილიყო. უზენაეს საბჭოს იცავდა დაახლოებით ათასი კაცი.

22 დეკემბერს, გამთენიისას, უზენაესი საბჭოს შენობაში ვიღაცამ ამბავი მოიტანა: მერაბ კოსტავას საზოგადოება მეტრო რუსთაველის მხრიდან გამზირზე შემოიჭრა. მანქანებს აჩერებენ და ჩხრეკენო. პრეზიდენტი კაბინეტში არ გახლდათ. სიტუაციის გარკვევისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით შევიკრიბეთ თავდაცვის შტაბის წევრები: თავდაცვის მინისტრი, ბატონი ჯონი ფირცხალაიშვილი, მისი მოადგილე, ბატონი ბესიკ ქუთათელაძე, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი,ბატონი თამაზ ნინუა, გვარდიის მეთაური, ბატონი ვახტანგ ქობალია, შინაგან საქმეთა სამმართველოს მუშაკები და მე. თათბირის მიმდინარეობის დროს ოთახში შემოცვივდნენ უცნობი პირები, მათ შორის, პრეზიდენტის მეუღლის და, ქალბატონი ლელე არჩვაძე. დაიწყეს ყვირილი — ბრალად პრეზიდენტის ღალატი გვედებოდა. საუბრის გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა. გარეთ გამოვედით. გამზირზე, მეტრო რუსთაველის მხარეს ათიოდე შეიარაღებული გვარდიელი, რამდენიმე სტუდენტი და შეუიარაღებელი მილიციის ჯგუფი იდგა. აბსოლუტური სიწყნარე სუფევდა. იმ დღეს ავტობუსების კორდონი უკვე მოხსნილი იყო. მილიციელთა ცოცხალი კორდონის გაკეთება გადავწყვიტე. ამ დროს უზენაესი საბჭოს შენობიდან სამოცამდე გვარდიელი გამოვარდა და უაზროდ დაიწყეს სროლა. ამის პარალელურად მხატვრის სახლის შენობიდან, რომელშიც ხელისუფლების შეიარაღებული ნაწილები იყვნენ დაბანაკებულნი, ავტომატებით ისროდნენ. ხალხი გაიქცა. ჭიჭინაძის ქუჩის მიმართულებით რუსთაველის გამზირის გადაკვეთა ვცადე. უკანიდან ნასროლმა ავტომატის რიგმა მოგვცელა. ფოფხვით შევაღწიე მთავრობის სასახლის გვერდით კარამდე, ჭიჭინაძის ქუჩის მხრიდან. შემდეგ კი საავადმყოფოში აღმოვჩნდი.

— ბატონო რომან, რამდენადაც ვიცი, საკმაოდ ერთგული მსახური ბრძანდებოდით კომუნისტური რეჟიმის დროს რესპუბლიკის სათავეში მყოფი მთავრობისა. ბატონ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებისთვისაც არ გიღალატიათ. პარალელურად ყოველთვის ახერხებდით კარგი ურთიერთობა გქონოდათ ოპოზიციის წარმომადგენლებთან. სამხედრო საბჭომ უდიდესი ნდობა გამოგიცხადათ და შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობა დაგაკისრათ. როგორ ფიქრობთ, ყოველივე ეს თქვენი მაღალი პროფესიონალიზმის, პოლიტიკური მოქნილობისა, თუ ერთდროულად ორივეს შედეგია?

— ვიმსახურე ისე, რომ არც ერთი თანამდებობა არ გამომიტოვებია. ვემსახურებოდი კომუნისტურ რეჟიმს, მაგრამ ყოველთვის თანავუგრძნობდი ეროვნულ მოძრაობას. ყველაფერს ვაკეთებდი ისე, რომ მაშინდელი მთავრობა არაფერში გამიყიდია. შინაგანად ვგრძნობდი, მათშიც იყო საქართველოს სიყვარული. დიდთოვლობის დროს ბატონები გივი გუშპარიძე, ნოდარ ჭითანავა და მე ზესტაფონში გადავფრინდით. ზესტაფონის რაიკომის მდივანთან ერთად მხოლოდ ჩვენ ვუსხედით სუფრას, როდესაც ბატონმა გივიმ პირველი ჰქითა უკვე გარდაცვლილი მერაბ კოსტავას სადღეგრძელო დალია. მერაბს გაუმარჯოსო, ყველა ჩვენთაგანზე დიდი ვაჟკაცი იყო და ყველაზე მეტად საქართველოს ის სჭირდებოდაო. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა კაცი ტიროდა. გივი გუშმარიძე იყო ის კაცი, რომელმაც ქართველ ხალხს პირობა მისცა, მისი სათავეში ყოფნის პერიოდში თბილისში ერთი ტანკიც არ შემოვიდოდა და შეასრულა კიდეც. ამის დაუნახობა არ შემეძლო. არც ზვიადისათვის მიღალატია. ორპირი არასოდეს ვყოფილვარ. ძალიან გთხოვთ, ტრაფარეტულ სიტყვებად ნუ ჩამითვლით, მაგრამ ჩემი მიზანი ქართველი ხალხის ერთიანობა იყო.

ოპერაციის შემდეგ, როგორც კიკონზე მოვედი, გადავწყვიტე მილიციაში აღარ მემუშავა, მაგრამ დავთანხმდი ჩემს კოლექტივსა და საბჭოს სამინისტროს შინაგან საქმეთა მინისტრის მოვალეობის შესრულებაზე. თუ კი კაცს შეეძლია ძმაკაცს სასხლისღვრის შეწყვეტა და ფარს ამბობ, ამაზე დიდი ღალატი არაფერია.

-მიუხედავად მდგომარეობის შედარებით სტაბილიზაციისა ბრეხტის სიტყვები მოსვენებას არ მაძლევენ. ალბათ გახსოვთ „კავკასიური ცარცის წრიდან": „ომი დამთავრდა, გეშინოდეთ, ხალხო, მშვიდობის!" რამდენად მშვიდობიანი დღეები გველის უახლოეს მომავალში?

ქვეყანა წუხს, რომ რუსთაველი განადგურდა. ეს, რა თქმა უნდა, საგანგაშოა. რუსთაველი აღდგება. ყველაზე სამწუხარო ის გახლავთ, რომ 22 დეკემბრის შემდეგ და მანამდეც ამდენი უდანაშაულო ადამიანი დაიღუპა. მთავარია სისხლისღვრა შეწყდეს.

ქართული ნათქვამია — კაცი რისი გამკეთებელია, პირველი დღეებიდანვე კოჭებში ეტყობაო. ერთი წელია, რაც ბატონ თენგიზ სიგუას ვიცნობ. ძალიან გთხოვთ, პირფერობაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მომწონს ეს კაცი თავისი საუბრით, განათლებით, კეთილშობილებითა და საკადრო პოლიტიკისადმი მიდგომით. მე მჯერა მისი და იმედიც მაქვს ახლო მომავალში სიმშვიდე იქნება.

ესაუბრა
თამრიკო მელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის, რაც დროულად გაზეთ „საქართველომაც“ კი ვერ დაბეჭდა

ყოფილი ხელისუფლების დამხომის შემდეგ რამდენჯერმე მოხდა ჟურნალისტთა შეკრება. პრეს-კონფერენციებსა თუ შეხვედრებზე, განსაკუთრებით იმ გაზეთების წარმომადგენლები აქტიურობდნენ, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ხალხისათვის თავგზის აბნევაში, სიცრუის ქადაგებასა და უმსგავსობის აპოლოგიაში.

ძველი რეჟიმის დამხობის შემდეგ, არაერთი ჟურნალისტი რიგითი თუ თანამდებობის პირი — ვნახეთ იმ პოზაში, როგორშიდაც შეიძლება წარმოიდგინოთ დრაკონის დამმარცხებელი რაინდი.

იქნებ აქვთ კიდეც ისეთი რამ დაწერილი თავმოსაწონებლად რომ გამოადგებათ, ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ, ოღონდ ეგ არის, ასეთი მასალა მკითხველისათვის უცნობია...

თვითრეკლამაში თუ არ ჩაგვეთვლება, უნდა განვაცხადოთ, ჩვენი შრომა კონიუნქტურაზე არ აგვიგია, არც მომავლისათვის ვაპირებთ ამას.

თუმცაღა, ჩვენს სარედაქციო პორტფელშიც აღმოჩნდა ორი მასალა რომელთა დაბეჭდვა დროებით შევაჩერეთ, რადგან სასამართლოში გვიჩივლეს და გაზეთის ყოფნა — არყოფნის საკითხი იდგა.

გთავაზობთ ამ ორ წერილს, რომელთა ავტორები არიან ქალბატონი ირინე სარიშვილი და ბატონი ვახტანგ გოგუაძე.

მსგავსი ხასიათის წერილები არაერთი დაგვიბეჭდავს. მათი ავტორების ხმა თავის დროზე ხელისუფლებას რომ ყურად ეღო, ვინ იცის, იქნებ საქართველო გადარჩენოდა ამდენ მსხვერპლს.

ციმართვა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებისადმი

ბატონო დეპუტატებო!

ჩვენ ყველანი კარგად ვხედავთ, მთელ მსოფლიოში დემოკრატიის აღმავლობის ეპოქაში, საქართველო როგორ მიექანება დიქტატურის უფსკრულისაკენ. საქართველოში საღ აზრს დღეს გასავალი არა აქვს, არაჯანსაღმა აზრმა კი კატასტროფამდე მიგვიყვანა. ეს ყველა ჩვენთაგანის ბრალია, მაგრამ მეტ-ნაკლებია ჩვენი ცოდვა ღვთისა და ერის წინაშე. მალე ერთი წელი გახდება, რაც ამჟამინდელი უზენაესი საბჭო ფუნქციონირებს. თუ რეალისტურად, ჯანსაღად განსჯით ყოველივეს, უნდა დაგვთანხმოთ, რომ პარლამენტის მოღვაწეობა, სამწუხაროდ, ვერ პასუხობს ელემენტარულ მოთხოვნებს. მიუხედავად იმისა, რომ აქ არიან პატიოსანი ადამიანებიც, მათთვის დაკისრებულ მოვალეობასთან შეფარდებით ეს პატიოსნება სრულიადაც არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მთლიანად მისი მუშაობა ჩვენმა ხალხმა დადებითად შეაფასოს. პარლამენტის კანონებმა შექმნეს სისტემა დიქტატურისა, პრეზიდენტის სრული თვითნებობისა და შეუზღუდავი ძალაუფლებისა, რაც გახდა ქართველი ხალხის საკვეყნოდ სახელის გატეხის საფუძველი.

საქართველოს პრეზიდენტისა და მისი მეუღლის გარჯის მთავარი სტიმულია პირადი გამდიდრება, ოჯახური კეთილდღეობა, ლამის ნახევარი საქართველო მოჯამაგირეებად და „ტელოხრანიტელებად“ აქციეს. უმოწყალოდ იძარცვება საქართველო, კანონი არის ის, რაც მოესურვება ზ.გამსახურდიას, მის მეუღლეს და ცოლისდებს. ასეა მთლიანად წარმართული საკადრო პოლიტიკა. დააკანონეს მონური მორჩილება და არხეული მლიქნელობა. საქართველოს იდეოლოგია „ტიფარ სიცრუეზეა აგებული, თქვენ კი, ბატონო დეპუტატებო, თუ [illegible] ამას ვერ ხედავთ, სიცრუეშია [illegible] ძიხვედრის [illegible] თუ ხედავთ და ასე [illegible] შაულია. [illegible] ქართველ [illegible] ბ. საკანონმდებლო [illegible] ტიკაში უხეში [illegible] („პროტექციონიზმი, ნათლიმამობა, საქმისადმი ყოველგვარ [illegible] დამოკიდებულება. [illegible] ფაც დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს როგორც მატერიალურად, ისე სულიერად“);

გაგრძელება მე-5 გვ.

წინ — თავისუფლება, უკან — უფსკრული

რამოდენიმე ხნის წინ საქართველოს ოფიციალურმა ტელევიზიამ თავის ვიდეოფილმების სერიალში აჩვენა ერთი ფილმი, სახელწოდება აღარ მახსოვს, რომლის მოკლე შინაარსი ასეთია: ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამუშაოდ მიდის ერთი ახალგაზრდა ქალი ფსიქიატრი. სპეციალისტს საავადმყოფოში ძალზე უცნაური ატმოსფერო ხვდება, ამასთან, მას ვერაფრით ვერ აუხსნია თავისი უსიამოვნო შეგრძნების მიზეზი, რაც მას საავადმყოფოში მუშაობისას, სახელდობრ, კოლეგა ექიმებთან და საავადმყოფოს ადმინისტრაციასთან კონტაქტის დროს ეუფლება. ფილმის დასასრულს კი ირკვევა შემდეგი რამ: თურმე საავადმყოფოს ადმინისტრაცია და ექიმები საავადმყოფოს ყოფილი პაციენტები არიან, რომელთაც დახოცეს ნამდვილი ექიმები და ხელმძღვანელობა დანაშაულებრივი მოღვაწეობის გამო და მათი ადგილები დაიკავეს.

ზუსტად ასეთი, თუ უფრო უარესი არა, მდგომარეობაა დღეს საქართველოში. კომუნისტების ცოდვებსა და უკანონობაზე აღარაფერს მოგახსენებთ — წაქცეულს წიხლს არ ურტყამენ, მაგრამ ის მინიმუმი, რაც მათ ჰქონდათ, დღევანდელ ხელისუფლებას ნამდვილად აკლია — ეს არის, რბილად რომ ვთქვათ, გონება. არავის ეგონოს, კომუნისტების დროს მივსტაროდე. უბრალოდ, იმაზე მტკივა გული, რომ, როგორც ერთ-ერთმა კომუნისტმა დეპუტატმა აღნიშნა თავის გამოსათხოვარ სესიაზე, ნგრევაში მოყვნენ კომუნისტები — ადამიანები, თან შერჩეული, ხოლო კომუნისტური იდეოლოგია არათუ ნგრევაში არ მოყოლილა, მას თავის დღევანდელ სიძლიერესა და მასშტაბურობაში მხოლოდ 30-იანმა წლებმა თუ შეიძლება გაუწიოს კონკურენცია.

არაერთი საყვედური მიუღია დღევანდელი ხელისუფლების ოპოზიციას როგორც საკუთარი, ასევე ხელისუფლების მხარდამჭერთა მხრიდან. ხელისუფლების მხარდამჭერნი გვსაყვედურობდნენ (ეს უალრესად შერბილებული ნათქვამია) საქართველოს ამბების, სახელდობრ, მისი პრეზიდენტის თუნდაც სამართლიანი კრიტიკის გარეთ გატანას, რითაც ვარცხვენდით ჩვენს ქვეყანას [illegible] ოძახრენი თვლიდნენ, [illegible] ამ გაუთავებელი კრიტიკით რეკლამას [illegible] ვიზიდავ პრეზიდენტს და არ ვაძლევდით საშუალებას. თავად გამოეჟღავნებინა თავი. ორივე არგუმენტში სამართლის დიდი დოზა იქნებოდა, რომ არა ერთი უბრალო კითხვა — გვქონდა კი ჩვენ სხვა გზა? ვიქნებოდით ჩვენი თავის წინაშე მართლები, მშვიდად რომ გვეცქირა მოვლენებისათვის და თან წინასწარ გვცოდნოდა, რითაც დასრულდებოდა ყველაფერი? ეს მორალური მხარეა. ახლა პოლიტიკურად შევხედოთ საკითხს. რა თქმა უნდა, პოლიტიკა პირველ რიგში დიპლომატიაა, ელასტიურობაა, ეშმაკობაცაა (რა თქმა უნდა, ზნეობის ფარგლებში), მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ მაშინ იძენს აზრს, როცა იგი ორმხრივია. როდესაც საქართველოს პრეზიდენტი არჩევნებში გამარჯვებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ (28 ოქტომბრის არჩევნებს ვგულისხმობ) მსოფლიოს ერთ-ერთ უმსხვილეს გაზეთს ინტერვიუში განუცხადებს, დამოუკიდებელ საქართველოში შერეული ქორწინებები უნდა აიკრძალოსო, როდესაც იგივე პრეზიდენტი ხელისუფლებაში მოსვლამდე კარგა ხნით ადრე არბევენ მშვიდობიან ოჯახს (დვალაძეების ოჯახი), როდესაც იგი მისთვის არასასურველ გაზეთსა თუ ჟურნალს ტერორს უნიშნავს, და ეს ყველაფერი თვითონ მისი ნათქვამით გადის საქართველოდან, ჩვენ რა დაგვრჩენია? ასეთ დროს, დამეთანხმებით, ყველაზე უმრიანია, სხვას დასსწრო და პირველმა შენ თვითონ შეაფასო საკუთარი ცუდი. აქ ჩამოთვლილი მაგალითები ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც პირადად „მრგვალი მაგიდის“ ლიდერმა ჩაიდინა ხელისუფლებაში მოსვლამდე და მოსვლის შემდეგ. სწორედ ეს გახლდათ წინაპირობა იმ 24-ე რეზოლუციისა, რომელმაც ასეთი აღშფოთება გამოიწვია მაშინ მოსახლეობაში და რომელიც სინამდვილეში ერთ-ერთი უმძლავრესი გარანტი იყო საქართველოში არსებული დემოკრატიული ძალებისათვის. სწორედ ასეთმა დროულმა კრიტიკამ გააკეთა ის, რომ დღევანდელი იზოლაციის პირობებში, რაც ხელისუფლებამ ხელოვნურად შეუქმნა საქართველოს, არცერთ ცივილიზებულ ქვეყანას დემოკრატიულ ძალებთან კავშირი არ გაუწყვეტია და თუ ეს კავშირი სათანადო დონის ვერ არის, ეს მხოლოდ „ხალხის მიერ არჩეულ“ ხელისუფლების „დამსახურებაა“.

ჩვენ ხელისუფლება „ქუჩის ოპოზიციას“ გვიწოდებს. ეს მართლაც ასეა — ოპოზიცია დღეს ქუჩაშია ისევე, როგორც კომუნისტური მთავრობის დროს. კი მაგრამ, ვინ დატოვა იგი ქუჩაში?! ბისაკი ვინმეს ტელევიზია, პრესა და უარი თქვა?! თან ცოტა უხერხული ხომ არა არის ოპოზიციის მიმართ ასეთი ბრალდების წამოყენება, როდესაც ტელევიზიისა და პრესის უპირობო მფლობელი ხელისუფლება ათ დღეში სულ მცირე რვას ქუჩაში ატარებს! პრეზიდენტისა და მისი ამალის მოღვაწეობა პრაქტიკულად ქუჩის მეტინგებით (თან, არასანქცირებულით) ამოიწურება, ხოლო როდესაც სესიებზე ვინმე გაბედავს და საკანონმდებლო ორგანოს კანონის უზენაესობას შეახსენებს, მავანი ლაქია დეპუტატი ამას კანონებში ქექვას უწოდებს(?!). სად არის პრივატიზაციის კანონი, ეროვნული არმიის სტატუსი, საოკუპაციო ჯარების სტატუსი, განაწილებული ეკონომიკა, თუნდაც ჭერ სუსტი, მაგრამ პერსპექტიული, სად არის დემოკრატია, თავისუფლება?! ამომრჩეველთა ის მაღალი პროცენტები, რითაც ასე ხშირად იწონებს თავს ხელისუფლება, ხომ სწორედ იმ ძალას ეკუთვნის, ვინც ეს უნდა გააკეთოს, ეს პროცენტები არავის პირადი ქონება არ გახლავთ! მათ შორის, ვინც ამ ხელისუფლებას დაშინების გარეშე მისცა ხმა, უმნიშვნელო ნაწილის გარდა, არავინ ანგარებით არ ხელმძღვანელობდა, მათ სწორედ ის სურდათ, რასაც შეპირდნენ და მათი ხმაც, ამდენად, მას ეკუთვნის, ვინც ამ დანაპირებს შეუსრულებს. ხელისუფლებას, რა თქმა უნდა, ყველა ამ პრეტენზიაზე ერთი პასუხი აქვს — არ გვაცალეს! არადა, როგორც ჩანს, ვერც ბატონი პრეზიდენტი, ვერც მისი დამქაშები ვერ ხვდებიან, რომ მათი მხრიდან ასეთი განცხადების გაკეთება თვითმკვლელობაა ორივე შემთხვევაში — სიცრუეა ეს თუ არა. თუ ჩვენ ისეთი მცირერიცხოვანნი ვართ. როგორც პრეზიდენტის ერთი ვერსია იუწყება, მაშინ ეს განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, მართალი არ არის და მიზეზი ხელისუფლების არაკომპეტენტურობაშია; თუ ჩვენ იმდენნი ვართ, რომ ხელისუფლებაც ვერ გვერევა, მაშინ კი ხელისუფლება არ ყოფილა ხალხის ნების გამომხატველი. ორივე შემთხვევაში ასეთი ხელისუფლება უნდა გადადგეს.

საქართველოს ხელისუფლების მიერ „არჩეულმა“ პოლიტიკურმა კურსმა (პოლიტიკურ კურსს პირობითად ვხმარობ) საქართველო იზოლაციაში მოაქცია და პრაქტიკულად შეუძლებელი გახადა მისი დამოუკიდებლობის აღიარება არსებული ხელისუფლების დარჩენის შემთხვევაში, ეს უკანასკნელი კი ყოველდღიურად ახალ-ახალი ტყუილებით უმასპინძლდება საკუთარ ხალხს, ახლახანს პრეზიდენტმა ისიც კი გაანდო „საიდუმლოდ“ მიტინგზე მსმენელებს, რომ თურმე რამოდენიმე ქვეყანა ჩვენს ცნობას აპირებს (ქვეყნები, სამხედრო საიდუმლოების პრინციპით, არ დაუსახელებია). უფრო მეტიც, ამას წინათ ხელისუფლებამ ამცნო მოსახლეობას მტრის გულისგასახეთქი ფაქტი — თურმე მას ტყვეობიდან დაუხსნია აღმოსავლეთ ევროპა და ბალტისპირეთის ქვეყნები, თუმცა საქართველოს საგარეო საქმეთა ახალ მინისტრს დიდსულოვნებამ უმტყუნა და აქაოდა ყველა ჩვენ გავუშვით და ჩვენ ვერ გავდივართო, ბალტისპირეთის უკან მობრუნება გადაწყვიტა (მემორანდუმი ვალების გადახდასთან დაკავშირებით). მანამდე ცოტა ხნით ადრე საქართველოს პრეზიდენტს აშშ-ს პრეზიდენტზე გული მოუვიდა და მისი გადადგომაც მოითხოვა. სხვა ქვეყნებზე და მათ უმადურობაზე საქართველოს პრეზიდენტის დამსახურებებთან დაკავშირებით აღარაფერს ვამბობთ. მოკლედ, ჩვენმა პრეზიდენტმა მთელს მსოფლიოს ომი გამოუცხადა, თუმცა არა, რუსეთისათვის ომის გამოცხადებისგან აშკარად თავს იკავებს, აკი სულ ახლახანს განაცხადა, ორი გზა გვაქვს — ან რუსეთთან სამხედრო-ეკონომიკურ ხელშეკრულებას ხელი უნდა მოვაწეროთ, ან რუსეთს ომი უნდა გამოვუცხადოთო, ენ-

გაგრძელება მე-5 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმართვა საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატებისადმი

(დასაწყისი მე-4 გვ.)

დ. ქართველი ინტელიგენციის, საზოგადოებრიობის, პოლიტიკური ოპონენტებისა და ცალკეული მოღვაწეებისადმი ცილისწამებისა და პროვოკაციების გამო.

2.გათავისუფლებულ იქნან პოლიტპატიმრები.

3. სათანადო შეფასება მიეცეს საქართველოში მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონოპოლიზაციას. დაისვას საკითხი საქართველოს რადიო-ტელემაუწყებლობის ორგანიზაციისა და პრესის ზოგიერთი მუშაკის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ დეზორიენტაციის გამო.

ბატონო დეპუტატებო!

გთხოვთ, წარმოდგენილ საკითხებს ნუ შეხედავთ ტრადიციული ფსიქოლოგიით (სიმართლე სიმართლეა, მაგრამ არაფერი გამოვაოგარწმუნებთ, ეს საკითხები მალე თავისთავად დადგება დღის წესრიგში. ხალხი უკვე ხედავს ყველაფერს. ჩვენ არ გვინდა ის დაწყებული სიძულვილი პრეზიდენტისა და მისი ოჯახის მიმართ თქვენზეც გადმოვიდეს. ხედავთ,იმპერია იშლება, დამპყრობელმა საქართველოს, შესაძლოა, თავისთავადაც გაანებოს თავი, ჩვენ დამოუკიდებლობისაკენ კი არა, პირუკუ მიმართულებით მივდივართ. გთხოვთ, მოიქცეთ ისე, როგორც ეს ღირსეულ მამულიშვილთ შეეფერით.

პროფესორი
ვახტანგ გოგუაძე

24 აგვისტო, 1991 წელი.

P.S. ამ წერილის დაბეჭდვა შეუძლებელი გახლდათ. იგი ხშირად იკითხებოდა მიტინგებზე. მიღებული ჰქონდა დეპუტატთა ნაწილს. მინდა გარკვეულწილად ბოდიში მოვუხადო იმ დეპუტატებს, რომელთაც შემდგომ ღირსეული პოზიცია დაიკავეს. აღნიშნულ წერილ-პროკლამაციასთან დაკავშირებით დამიბარეს რესპუბლიკის პროკურატურაში, ჩამომართვეს ჩვენება. მოვითხოვე ძიების პროცესში ჩარეულიყო ჰაველის, ლანდსბერგისა და ელცინის წარმომადგენლობითი საგამომძიებლო ჯგუფი. ეს, ცხადია, ღიმილის მომგვრელი იყო, ზ.გამსახურდიასი და მისი მეუღლის თავნებობის პირობებში, სამართალზე ლაპარაკი ხუმრობით თუ შეიძლებოდა. ჩვენ თუ გვინდა ეს სახადი მოვიხადოთ, გონება უნდა წავიმძღვაროთ. არავითარი ემოციები — სამართალთან დაკავშირებით. გერმანელებზე უფრო გულგაწმენდილი ერი ქვეყანაზე არ მეგულება. ოთხმოცი წლის ბერიკაცს (ჰონეკერს) რომ დასდევენ, ეს მათ სისატიკეზე არ ლაპარაკობს. მათთვის სახელმწიფოებრივი პრინციპი ყველაზე მაღლა დგას. თუ ჩვენ ობიექტური, სამართლებრივი შეფასება არ მივეცით ამ პროცესს, ჩვენი საშველი არ იქნება, ვერავითარ სახელმწიფოს ვერ შევქმნით. ჩვენში გავრცელებულია არასწორი ინტერპრეტაცია ქრისტიანული შემწყნარებლობისა და მიტევების შესახებ. მე ჩემს მტერს უნდა მივუტევო და არა სულისწმიდის, ქვეყნის მტერს. ქრისტე ღმერთი უწინარეს სამართლიანობას გვასწავლის, ბოროტებასთან შერიგება ბოროტებაა. არავითარი გულმრისხანება ან გულმოწყალება ქვეყნის დამღუპველთა მიმართ. ყველაფერი სამართლიანმა გონებამ შიუკერძოებლად უნდა განსაჯოს. დღეს ყველაზე ლამაზი დღესასწაულია — ქრისტე იშვა ჩვენს განსაწმენდად, განსასპეტაკებლად. უფალმა მიიღოს იმ ჭაბუკების სული, რომლებიც ქართული ფაშიზმის მსხვერპლი შეიქმნენ. აღარასოდეს განმეორებულიყოს მსგავსი სიძულვილი საქართველოში. ურთიერთმიტევება და სიყვარული გვიხსნის მხოლოდ.

დიდება ღმერთს, წყალობა ჩვენ!

7 იანვარი, 1992 წელი.

წინ — თავისუფლება, უკან — უფსკრული

(დასაწყისი მე-4 გვ.)

თუზიაზმი ამ მეორე გზის წარმოთქმისას ბევრად ჩამოუვარდებოდა პრეზიდენტის მიერ აშშ-სათვის გამოცხადებულ ომს.

ხუმრობა ხუმრობად იყოს და ეს ყველაფერი მართლაც ძალზე სასაცილო იქნებოდა, ასეთი საშიში რომ არ იყოს. დღეს მთელი პოლიტიკა ინფანტილიზმამდეა მისული, ყველაფერი ისეთ პრიმიტიულ დონეზეა დაყვანილი, მთავრობის სახლის წინ მდებარე კარვებში მოთავსებულმა ჭალად წოდებულებმა რომ გაიგონ და "იკამათონ", არადა ეს რომ სერიოზული პოლიტიკა იყოს და არა სახლობანას თამაში, მათ წესით არაფერი არ უნდა ესმოდეთ. ან თვითონ უზენაეს საბჭოში რა ხდება — ღრმად პატივცემული გურამ პეტრიაშვილი ნამდვილად არ უნდა წყვეტდეს ჩემი ქვეყნის, და ამდენად, ჩემს ბედს; ჭალბატონი მანანა ძოძუაშვილი ნამდვილად არ უნდა მოძღვრავდეს ახალგაზრდა ჭალებს, აბორტის გაკეთება არ შეიძლებაო; ბატონო მურმან ომანიძე ყოფილი კომუნისტების მოსაძებლად აქეთ-იქით ყურებას არ უნდა იწყებდეს; პატივცემული აბსანძე სიდუხჭირესა და ხელმომჭირნეობაზე არ უნდა გველაპარაკებოდეს; ჭალბატონი ირინე ტალიაშვილი იქ, სადაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილია, მათ შორის სესიაზეც, ნამდვილად არ უნდა ჩნდებოდეს; ბატონი ბესარიონ გუგუშვილი არაფერს შემოქმედებითს, მათ შორის ტელევიზიასაც სათავეში არ უნდა ედგეს; ჭალბატონი ნათელა ჭუთელია სხვას ზრდილობასა და კარგ ტონს ნამდვილად ვერ უნდა ასწავლიდეს... ბატონი პრეზიდენტი საქართველოს სახე არ უნდა იყოს, იმიტომ რომ საქართველო — ეს ქართველი ხალხია, ჩვენი შვილებია, მე კი ჩემი შვილის ბედს დღევანდელ ხელისუფლებას ვერ მივანდობ.

საქართველო დღეს კატასტროფის წინაშე დგას.

ბატონო პრეზიდენტო და პრეზიდენტის ამალის წევრებო! გონს მოდით! ღირსებასა და თავმოყვარეობაზე საუბრით თავს არ შეგაწყენთ, მაგრამ თუ საკუთარი შვილების სიყვარული მაინც დაგრჩათ, გადაარჩინეთ საქართველო და გადადექით, რათა თქვენ შემდეგ მოსულმა ხელისუფლებამ ჩამოანგრიოს ის ყრუ კედელი, რომელიც თქვენ საქართველოს წინ აღუშართეთ და რომლის გადალახვის ძალა ჩვენს პატარა ქვეყანას არა აქვს. ამ კედლის ჩამონგრევა გადაარჩენს საქართველოს და წინ წასასვლელ გზას გაუხსნის, უკან წასვლა არ შეიძლება — უკან უფსკრულია!

ირინა სარიშვილი

სპეციალური კორესპონდენტი

სპეციალური კორესპონდენტი

ვისაც სურს ცხოვრების ნადიმს მუდამ თავში უჯდეს, ვისაც სულ ავანსცენაზე

ყოფნა და კარგი ცხოვრება უნდა, საჭიროა თვალი მიადევნოს იმ პირთა საქციელს, რომელთაც ზურგსუკან მედროვედ უხმობენ, პირში კი მამულიშვილებად. არსებობს მუდმივად საზოგადოების ყურადღების ცენტრში ყოფნის ერთი უებარი საშუალება.

პირველი და აუცილებელი პირობა გახლავთ სინდის-ნამუსზე ხელის აღება, ამის შემდეგ ყველაფერი იოლად ხერხდება.

კერძოდ — გულმოდგინეთ უნდა ვემსახუროთ იმ რეჟიმს, იმ ხელისუფლებას, რომლის ქვეშევრდომნიც ვართ.

როდესაც დავატყობთ, რომ არსებულ ხელისუფლებას დიდი დღე აღარ უწერია, უნდა გავიტრუნოთ, მოვლენებს ზემოდან ჭკვიანი კაცის პოზით გადმოვხედოთ და მხრებაწურულმა ვიჩურჩულოთ — ეს რა ხდება, ესენი ვინ არიან, ღუპავენ ქვეყანას,— ოღონდ არ დაგავიწყდეთ, ეს ისე უნდა ვთქვათ, რომ ხელისუფალთან საუბრისას ოპოზიცი[illegible] ხელისუფალ[illegible] მთავარია, უნდა მოერიდოთ პრაქტიკულ ძოქმედებას.

ამ უკანასკნელზე გ[illegible] შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა [illegible]არწმუნდებით, რომ არსებული რ[illegible]�i ნამდვილად მოკვდა, რომ ხელისუფლება უკვე მართლა აღარ არსებობს!

აი, ამის შემდეგ თამამად შეგიძლიათ გვარიანი ჭიტლაყი უთავაზოთ ყოფილ ხელისუფალთ, მაგრამ თქვენი შემდგომი წარმატებების საფუძვლად მხოლოდ ეს აქტი ვერ იქცევა.

საჭიროა გაეშებული პირველი გამოიჭრეთ პრესით, რადიოთი (განსაკუთრებით სასურველია გამოჩენა ტელეეკრანზე) და საკუთარი პერსონა წარუდგინოთ ხალხს ძველი რეჟიმის მსხვერპლად. მტკიცედ უნდა ჩადგეთ ახალი ხელისუფლების სამსახურში, ამ ხელისუფლების უკვლიც რომ გავა, მექანიკურად უნდა გაიმეოროთ

სპეციალური კორესპონდენტი

სპეციალური კორესპონდენტი

ბას, რომლის ქვეშევრდომნიც ვართ.

ის საქციელი, რომლის ჩადენის გამოცდილებაც უკვე გაქვთ და თქვენ კიდევ ერთი ახალი დროის ფუშად იქცევით.

ის, ვინც განსაკუთრებით ჭკვიანია, მორიდებულ ურთიერთობას არჩევს ერის პატიოსან,

არამედროვე წარმომადგენლთან, რათა დაზღვეულნი იყვნენ ყოველგვარი წამოძახებისაგან. რაც შეეხება თქვენს მსგავს მედროვეებს, მათთან შეგიძლიათ

ნებისმიერი ურთიერთობა იქონიოთ — გნებავთ კარგი, გნებავთ ცუდი, ისინი საჭიროდ ვერაფერს წამოგძახებენ, თუ ცოტა ჭკ[illegible]ინც გააჩნიათ, რადგან წამოძახილი ბუ[illegible]ნგივით დაუბრუნდებათ და ისინიც თქვენთან ერთად ამოისვრებიან ლაფში.

გარდა თანამდებობის პირთა ბიოგრაფიათა შესწავლისა, თუ გადახედავთ ქართულ ე.წ. ოფიციალურ პრესას ამ ანალიზის უეჭველობაში ადვილად დარწმუნდებით.

ალბათ, ყველას გახსოვთ ურთიერთს გაჯიბრებული ავთანდილისა და როსტევანის პირობა, დამარცხებული თავშიშველი სამ დღეს ვლიდესო, რომ დათქვეს. კერძო საკითხში კი არა, სამშობლოს სამსახურში გამტყუნებული, დამარცხებული, იდეოლოგიურად და პოლიტიკურად გაკოტრებული ჩვენი მედროვენი, არათუ რამეს ინანიებენ და „თავშიშველი" ვლიან, არამედ იჭყლეტენ ტვინს, როგორ მოეჭცნენ

სპეციალური კორესპონდენტი

სპეციალური კორესპონდენტი

დარდიანი ესკიზები საშობაოდ

მიხო მოსულიშვილი

ყვავები სროლის ხმაზე აღარ ფრთხებიან

ახლა ოცდაოთხი დეკემბრის ღამეა და რამდენიმე დღის წინ დაწყებული ბრძოლა ისევ გრძელდება. ერთმანეთის პირისპირ გვარდიის მეამბოხე ნაწილები და მთავრობის სასახლის დამცველები დგანან და ომობენ...

სისხლიანი მეოცე საუკუნე დაიწყო ილიას მკვეცლობით და მთავრდება, თუ ღმერთი არ გაგვიწყრა და უარესი არ მოხდა, სამოქალაქო ომით —ტრაგედიით, რომელშიც „გამარჯვებული“ და „დამარცხებული“ არ იქნება; ტრაგედიით, რომელშიც გმირი არ არსებობს და ვერც იქნება, რადგან ქართველი თავის თანამოძმეს ჰკლავს, კაენის ცოდვით იმძიმებს სულს...

რამ მიგვიყვანა აქამდე?

რატომ უნდა ვამტკიცებდეთ ან ერთი, ან მეორე მხარე ჩვენი პოზიციის სიმართლეს იარაღით და არა მოლაპარაკებით?

სექტემბერში, კინოს სახლთან გამართული მიტინგის დარბევიდან უფრო გამძაფრებული პოლიტიკური განკერძოება, რამაც უფრო ნათლად წარმოაჩინა ქამიანობის ეპიდემიის მძვინვარება ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში, უფრო და უფრო გამძაფრდა მომდევნო თვეში —ხუთი ოქტომბრის ღამეს ხელისუფლებამ ისევ ესროლა თავის ხალხს.

აი, რას ვწერდი გაზეთ „დროშის“ 39-ე, 11 ოქტომბრის ნომერში:

„არსებული პოლიტიკური კრიზისი არამც და არამც არ შეიძლება გადაწყდეს ძალის პოზიციებიდან, რასაც უკვე მიმართავს ხელისუფლება... ოფიციოზი უნდა მოეშვას მანიპულირებას ხალხის სახელით და მის წაქეზებას ოპოზიციაზე, რადგან ეს ყველაფერი გაამძაფრებს ქამიანობის ეპიდემიას და ბაზალეთის გამეორებამდეც შეიძლება მიგვიყვანოს. ხელისუფლება და ოპოზიცია მოლაპარაკების მაგიდას უნდა მიუჯდეს“.

მაგრამ ხელისუფლება, რომლის ერთწლიანი არსებობაც გვიდასტურებს, რომ მას ოპოზიციასთან კონსტრუქციული თანამშრომლობა არ შეუძლია და არც სურს, მეთოდურად მიმართავდა ძალის დემონსტრირებას, რასაც სათანადო ქმედებანი მოყვებოდა ხოლმე ოპოზიციის მხრიდანაც.

ჩვენ იმდენი უნდა შეგვძლებოდა, რომ ერთმანეთთან უომრად გაგვერკვია ურთიერთობა. სამწუხაროდ, ეს არ მოხდა და ახლა ერთმანეთს ვჟლეტთ!

დაღუპულთათვის და მათი გამწარებული ოჯახებისათვის რაღა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ვინ „გაიმარჯვებს“ და ვინ „დამარცხდება“, ბოლოს ვინ მოექცევა ხელისუფლების სათავეში...

ახლა ოცდაოთხი დეკემბრის ღამეა და რამდენიმე დღის წინ დაწყებული ბრძოლა ისევ გრძელდება. ერთმანეთის პირისპირ გვარდიის მეამბოხე ნაწილები და მთავრობის სასახლის დამცველები დგანან და ერთმანეთს ჟლეტენ...

...და თუ შეამჩნევდით, ჩვენს ქალაქში ყვავები სროლის ხმაზე აღარ ფრთხებიან...

თოფისწამლის სუნი

აი, რა მიამბო ერთმა ნაცნობმა მწერალმა:

„გაცხარებული ბრძოლის დროს, როცა თოფისწამლის სუნითაა გაჟღენთილი ქალაქი და წარამარა სროლის ხმა ისმის, ზემელიდან გრიბოედოვის ქუჩით მივდივარ, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე უნდა ავიდე ჩემი მანქანით და გაჯიუტებული ნათესავი წამოვიყვანო ჩემს სახლში, დიდ დიღომში, უნდა გამოვარიდო საფრთხეს, რადგან მთაწმინდის უბანში ვიღაც-ვიღაცეებს უკვე სახლში შეუვარდნენ შეიარაღებულნი და რაც მოეპრიანათ, ის გააკეთეს. იმ ცეცხლოვანი ტყვიებითაც წვავენ სახლების სახურავებს და ზემოთ, ჩასაქრობად ასულ მცხოვრებლებს, თეთრ ბაირაღებს რომ აფრიალებენ ცალი ხელით და თანაც რეზინის შლანგებით ცდილობენ ცეცხლის ჩაქრობას, სნაიპერები ესვრიან მთავრობის სახლიდან.

გავცდი სამხატვრო აკადემიას. ბულ ქურთუკებში გამოწყობილი შეიარაღებული პირები დგანან, მანქანებს აჩერებენ და ჩხრეკენ.

ერთი ავტომატიანი იარაღს მიმარჯვებს და მანიშნებს, გავწერდე. თვალები შეშლილს მიუგავს.

ვაჩერებ და გადმოვდივარ მანქანიდან.

ყველაფერი გამიხსენიო, მოითხოვს.

ჯერ საბარგულით დაიწყო, ოცლიტრიანი ჭურჭელიც შეანჯღრია და ორმოცდაათლიტრიანიც. არადა, კაი ხანია ბენზინი აღარ მქონია, წითელანთებულით მოვედი აქამდე და უკან დაბრუნების იმედიც მაქვს. ახლა წინ დაჯდა. მარჯვნივ სათავსო გაჩხრიკა, საავარძლების ქვეშ აფათურა ხელი, შემდეგ უკან გადავიდა, საჯდომი მოანგრია, შიგ იცქირება. „კაპოტსაც“ მახდევინებს და იქაც იყურება.

ამასობაში, გვერდით მდგომთა ლაპარაკიდან მივხვდი, რომ ესენი პრეზიდენტის ერთგული გვარდიელები არიან, 17-18 წლის ბიჭები. ვიღაც ჭაღარათმიანი ტუქსავთ, რატომ გაატარეთ გაუჩხრეკავად მანქანა, ალბათ იმ მოღალატეებს იარაღი ან სურსათი წაუღიო. ახ, როგორ „გვაჭამეს“, ნერვიულობს ერთი გამხდარი, „ვინსტონის“ კოლოფს იღებს და სიგარეტს უკიდებს —სად იმოვნა ნეტავ ამ გაწამაწიაში, მე „ასტრა“ და „პოლიოტი“ მენატრება ხოლმე. მიახლოვდება და ტანსაცმლის გარეუდან მჩხრეკს გულმოდინედ. სხვები ახლად მოახლოებულ, ოთხი კაცით დატვირთულ მანქანას უმიზნებენ იარაღს და აჩერებენ.

ამან კი მანქანის ჩხრეკა მოათავა, ახლა ჩემთან მოდის და საბუთებს მთხოვს. ვუწვდი. აქ ტექნიკური პასპორტია, მართვის მოწმობა სადღაა. შიგ მიდევს მეთქი, ვაჩვენებ, პასპორტს მთხოვს. ამოწმებს თბილისში ვარ თუ არა ჩაწერილი.

ახლა სამსახურის მოწმობა მომკითხა.

ამას რომ ის მოწმობა ვაჩვენო, რაც ჩემს კორესპონდენტობას ადასტურებს ერთ ოპოზიციურ გაზეთში, პირდაპირ ბუნკერში არ მიკრან თავი, რა ვიცი, ეშმაკს არ სძინავს. ვეუბნები, გეოლოგი ვარ და ჩვენთან ასეთი მოწმობები არა აქვთ მეთქი.

ახლა გავარკვევ, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ და სად მიდიხარო, მეუბნება ჩემი ყოყმანით დაეჭვებული და იმ ჭაღარა უფროსს უხმობს, აი, კაცი დავჭირე, რაღაც გვარი არ მომწონს ამისიო.

რა გვარიაო, გვიახლოვდება ჭაღარა. ეს ჩემს გვარს ეუბნება, თანაც დასძენს, რაღაცა ცუდად მახსოვს ამისიო. რაო, ეკითხება უფროსი და ავად მიცქერის ძალიან. არ ვიცი ჭანტურიას პარტიაშია თუ არ ვიცი, გაზეთში რაღაცეებს წერდა ჩვენს წინააღმდეგ, ახლა ვეღარ ვიგონებო.

ღმერთი, რჯული, არც ერთ პარტიაში არ შევსულვარ და არც ვაპირებ მეთქი.

ბიჭო, კაცი არა ხარო, მრისხანებს ჭაღარა, ეს რომ წავიყვანოთ, ამ არეულობაში რა უნდა გავარკვიოთ, სადა გვცალიაო.

წერდა, ნამდვილად წერდა რაღაცეებსო.

კაცო, მაგისთვის მერეც მოვიცლითო.

მოიცა, მისამართს მაინც ჩავიწერო, იხვეწება ჩემი გვარის დამწუნებელი.

წადი, აგერ მანქანა გაჩხრიკე, ამას მოეშვიო, ბრძანებს ჭაღარა და ერთ „ბეტეერა“ (ასე შეარქვეს პრეზიდენტის მომხრე ქალბატონებს) ქალს, რომელიც ამასობაში ემუდარება, მარჯვე ადგილას ვცხოვრობ, ერთი სნაიპერი გამომაყოლე, ვაჭმევ, მოვუვლი, დავაძინებ კიდეც და იქნებ იქიდან მოვკლათ ვინმეო, დაუცაცხანებს — რომ დააძინო, ვინღა იდარაჯებსო!

მეო! მე ვიდარაჯებო! —ირწმუნება „ბეტეერა“ ქალი, —სროლაც ვიცი და ყველაფერიც, წეღან რამდენჯერმე მარჯვედ გამორჩდა ორი-სამი კაციო.

ნაღდიაო? —იკითხავს უფროსი.

კიო!

აი, შენ! აი, აი, შენ გაჰყევიო! —ერთ ტუჩებდამსკდარ ყმაწვილს უბრძანებს ჭაღარა. ესენი სახელით საერთოდ არ მიმართავენ ერთმანეთს.

იმ ქალბატონს მიჰყავს ტუჩებდამსკდარი გვარდიელი, არადა, კაცს დაგენანება, ეს ბიჭები მკვლელები რომ არინ უკვე, თოფისწამლის სუნი რომ იყნოსეს, სისხლი რომ ნახეს თანამოძმისა...

რას უდგეხარ, წადი, თუ მიდიხარო, მიბღვერს უფროსი.

ვჯდები და მივდივარ.

ქარს თოფისწამლის სუნი მოაქვს“.

ბაზალეთის ტბის პარაპოლა

1626 წელს ბაზალეთის ტბასთან ქართველი ქართველს წინააღმდეგ აღდგა. მეფე თეიმურაზ პირველის ჯარი დიდი მოურავის, გიორგი სააკაძის ლაშქარს შეება თავსხმა წვიმაში. მეფის მხარეს იდგნენ ქართლ-კახელი დიდგვაროვანნი, თავ-თავიანი ხალხით და აგრეთვე ყიზილბაშებიც, ხოლო მოურავის მხარეს კი იმერთა მეფის ალექსანდრეს ჯარი და სამცხელი მოლაშქრეები.

გიორგი სააკაძემ თავისი ჯაჭვის კურტაკი გადააცვა დაუთბეგ გოგორიშვილს და ომში შეუშვა.

შეცდა თავისი ხალხით ჩასაფრებული ედიშა ვაჩნაძე („საქართველოს ეგ რევსო!“- ასე რომ ამბობდა გიორგი სააკაძეზე) და მიეტია.

ხრმალი გამართა დაუთბეგმა, წინა-უკმოდ გაფანტა მტერი.წინ წაიწია. თეიმურაზი იცნო და შეებრძოლა.გაუჭირდა მეფეს. ვიღაც კობაისძე წამოშველა, გვერდიდან შეუტია „გიორგი სააკაძეს“. დაუთბეგმა მოიგერია.

-მოურავო, აგრე მაგრად რად დგახარა! —ზურაბ ერისთავმა შეუძახა მეორე მხრიდან და ბარძაყზე დაჭრა ხრმალი.

გოგორიშვილი ცხენიდან გადავარდა და იმავ წამს დაუნდობლად აჩეხეს მეფის მომხრეებმა.

ახლა განრისხებული გიორგი სააკაძე შეიჭრა ომში.

კვლავ თავის კახელთ შეეხმიანა ედიშა ვაჩნაძე, მიუხტა და ბრძოლაში გართულ დიდ მოურავს შუბი აძგერა. თუმცა უმალ,ვიდრე შუბი რკინის სამკერდულზე დაიმსხვრეოდა, სააკაძის ხრმალმა გაუპო თავი.

დიდმა მოურავმა გარს მოხვეული მეომრები იფრინა და მეფე თეიმურაზისაკენ გააჭენა ბედაური...

არადა, მაშინაც ავი, დუხჭირი დრო იდგა.

ქამიანობა იმ დროსაც მძვინვარებდა საქართველოში.

აი, რას გვამცნობს იმქამინდელი ძველი ხელნაწერის ერთი მინაწერი: „საქართველოს დარბაისელნი: მუხრანის ბატონი, არაგვის ერისთავი,ქსნის ერისთავი, ამილახვარი — ესენიც ერთმანეთის მტერნი და მოქიშპენი იყვნენ; არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ქონებოდათ ვერცარას უზავდნენ, ვერცარას სხვა მტერი წაართმევდა რასმე. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არ მოკლებიან და არც მოუშლიათ“.

მაშ, ასე.

თავსხმა წვიმაა.

როგორც მემატიანე იტყოდა, ბაზალეთის ტბასთან ძლიერად შენივთებულა ომი.

ხრმალთა კვეთების ხმა, საომარი ყიჟინა, ცხენთა ჭიხვინი,დაჭრილთა კვნესა ერთმანეთში ირევა.

ხრმლები იმტვრევა ჩაბალახებზე...

და ჟლეტენ ერთმანეთს „ახოვანები“, „წყობათა შინა სახელოვანი“ თვისტომნი — ქართველები.

კაცთა თმა-ტვინი, სისხლი, თავი მხართაგან განშორებული, ცხენთა მიერ დათრგუნული ნაწლავნი ტალახშია აზელილი.

და გიორგი სააკაძე, „გულს უწადინოთ“ (ვაჟა-მ.მ.) რომ იბრძვის ამ ომში, ახლა მეფისკენ მიაჭენებს ბედაურს...

მეფისკენ მიქრის დიდი მოურავი, მარტყოფისა და მარაბდის გმირი; მამა, ვისაც პაატას მოკვეთილ თავად დაუჯდა საქართველოს ხსნა ყიზილბაშებისაგან; კაცი, ვინც ორჯერ გაამეფა თვითონ თეიმურაზი და ადამიანი, ვინც თვითონ მეფემ ვეღარ აიტანა თავის გვერდით, და აგერ ბაზალეთი გაუმართა, აიძულა იმათთან ებრძოლა, ვის გადასარჩენადაც იღვწოდა მთელი ცხოვრება...

თეიმურაზ მეფისაკენ მიქრის გიორგი სააკაძე...

აი, რას წერს ვახუტი ბაგრატიონი:

„მისრულმან ედიშერ ჰკრა შუბი მოურავსა და დაალეწა მკერდსა მისსა ზედა. ხოლო მოურავმან ჰკრა თავსა შიშველსა და განუკუეთა ხრმლითა.მერმე მოვიდა მოურავი, ჰკრა ბატონს თეიმურაზს ლახტი ბეჭსა ზედა, არღარა დადგა და წავიდა“.

დაინდო თავისი არ დამნდობი მეფე თეიმურაზი გიორგი სააკაძემ, ლახტის დაკვრა იკმარა და წავიდა, სულ წავიდა, გაეცალა, მთლად გადაიხვეწა სამშობლოდან.

ხოლო ეს ამბავი კი მერმე მოხდა, 1883 წლის 14 ივლისს.ამ დღეს შეიქმნა ლექსი „ბაზალეთის ტბის“ სახელწოდებით.

თურმე, ბატონებო, ბაზალეთის ტბის ძირას მარადმწვანე წალკოტია,

(გაგრძელება მე-7 გვ.)





დაგვიანებული გამოსათხოვარი

„მე დღესაც წვეთებად მეჩვენება ჩემი ნაწერები სივრცეში, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ დღეს თითოეულ წვეთშია დაგუბებული უზარმაზარი შიში.

ეს წვეთები კვლავაც ციმციმებენ, ბრწყინავენ, მაგრამ ყოველი მათგანიდან გამომზირება ატომის გახლეჩის უმკაცრესი ცაც.

ადამიანები ლოკულობენ, ღაღადებენ,იბრძვიან კიდეც ამ ცის დასამშვიდებლად.

მათ ჯერაც არ დაუკარგავთ იმედი, რომ მბრწყინავი წვეთები მაცოცხლებელ ძალად უნდა გადაევლინოთ გატანჯულ სახეზე.

ჩამოდით, წვეთებო და ჩამოიტანეთ ოდითგანვე წამოყოლილი თქვენი კეთილი ძალა“.

ეს ამონაწერი თქვენივე ხელით დაწერილი ანოტაციიდანაა, ერთ ბოლოდროინდელ კრებულს რომ წაუმძღვარეთ...

როგორ ვერ გაგაცილეთ უკანასკნელ გზაზე, ეს როგორ წახვედით, წახვედით კი არა, გაგვეპარეთ თუ მიგვატოვეთ,ეგებ ვეღარ აიტანეთ,ბატონო რეზო,ერთმანეთის მტრობაში, დაუნდობლობაში, უზნეობაში, ხოცვა-ჟლეტაში ჩაფლული თანამემამულეები; ჩვენ ხომ სწორედ ახლა გვჭირდებოდა თქვენი მართალი, ნათელი სიტყვა, თქვენი ახალი ნაწერები, მბრწყინავ, მოციმციმე წვეთებს რომ ადარებდით, ხოლო რაც თქვენი მადლიანი მარჯვენით შეჰქმენით და დაგვიტოვეთ, იმას, იმ დიდ შემოქმედებას გვერდს ვერ აუვლიან მომავალ თაობათა მწერლები, აუცილებლად შეისწავლიან თქვენს დიდებულ ქართულს, თქვენს მაღალმხატვრულ, ღვთიური მადლით ნაკურთხ, პოეტურ ხელოვნებას,ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურაში რომ აბრწყინდებოდა თავისი ზეციური შუქით...

ეჰ, როგორ, როგორ ვერ შევიტყეთ, როგორ ვერ გაგაცილეთ უკანასკნელ გზაზე...

ახლა კი ასე დაგვიანებით გეთხოვებით...

გაზეთ „საქართველოს“
რედაქცია

რევაზ ინანიშვილი

წყევლა-კრულვიანი საკითხავი

დიდი ილაობაა ჩვენს ქვეყანაში, დიდი ასპარეზი აქვს დათმობილი საფიქრალს და სათქმელს. ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ ისეთ რამეებსაც, ადრე შიშის ჟრუანტელი რომ იატანდა მთქმელსაც და მსმენელსაც. დღესაც არ გრძნობს თავს სრულად მშვიდად არც მთქმელი, არც მსმენელი,მაგრამ მაინც... აშკარად მეტი პატივი დაედო თვით უგუნურების საზღვრთან მისულ მაძიებლურ გონებას. თუნდაც აი, ასეთს:

რამდენიმე დღის წინათ კახეთიდან ვბრუნდებოდი, ნაღვლიანი ამინდი იყო, შემოდგომისპირულად მიმტკვრილი, მიბურუსებული. გულის სამზერსაც რაღაც ეფარებოდა მუქად, და შეიძლება ამიტომ უფრო, ლოჭინის ხევთან მოსულს ახლო ხანებში გადატანილი ავადყოფის სიმძაფრით გამახსენდა ილიას ბრწყინვალე „სარჩობელაზედ“. თუმცა რომელ წიგნიერ ქართველს არ ახსენდება ეს მოთხრობა ლოჭინის ხევთან! სიცხე, სიცხე,თითქმის დამშრალი ღელე გუბეებში ჩაყრილი გალექებული კამეჩები, ჯამებით რომ ასხამენ წყალს არანაკლებ დაოსებული მეურმეები, ორი ობოლი ბიჭი ხევის ყურეში, კეთილი მოხუცი პეტრე,ღამე, ჭიბეების დაჭრა, მერე, რამდენიმე წლის შემდეგ ისევ ეს გზაახლა უკვე პეტრეს ვაუი მეწინავე ურემზე, ქალაქი, ქალაქური სეირი — კაცის ჩამოხრჩობა მახათის გორაზე და პეტრეს გაოგნება, აღშფოთება და მოთქმა-როგორა, ადამიანი კაცა ხომ არ არის, აიღო და ჩამოკიდო, თანაც ვიღაცეებმა იცინონ კიდეც ამის მაყურებელმა!...

ყოველმა წიგნიერმა ქართველმა ისიც იცის, რომ ადამიანის სიკვდილით დასჯას თვითონ ილია უარყოფდა. მან, როგორც სახელმწიფო საბჭოს წევრმა ერთ-ერთ სხდომაზე სწორედ ეს მოითხოვა,— სიკვდილით დასჯის გაუქმება, რა ხასიათის დანაშაულთანაც არ უნდა გვქონდა საქმე, და იმედი ჰქონდა ამ მოთხოვნის აღსრულებისა...

ლოჭინის ხევთან გაცოცხლებული საყვარელი მოთხრობის სცენებს კბილისტკივილის დაურიდებლობით მოება სხვა სცენებიც. ეს უკვე ჩემი ცხოვრებიდან.

ერთ ჩემს ნათესავს პატარა ნაკვეთი ჰქონდა აქ ამ ხევის ბოლოსთან, ხელმარჯვნივ, ჩადაღლებაში,რომელსაც „ბალკას“ ეძახდნენ ქალაქის გამონაპირის მცხოვრებნი. ამ ნათესავმა მიმიყვანა ერთი კბოდის ძირას (ახალი გარდაცვლილი იყო სტალინი) და შეფიქრიანებულმა მითხრა: —აქ რომ ვბარავდი, კაცის ძვლებს წავაწყდი. სუ ძვლებია, აი, ასე, ჩაყოლებაზე. ზოგი ტანსაცმელი ბოლომდეც არ არის დამპალი. დაუგდო ბარი, ერთხელ, მეორედ, მესამედ, ამოსწია და შეძრწუნებულმა დავიხიე უკან. ძვალი და ფარაჯის ნაგლეჯი! ისევ ძვლები, ისევ ფარაჯის ნაგლეჯები!

ჩემი შეძრწუნება იმითაც იყო გამძაფრებული, რომ პაპაჩემი გიორგი, 67 წლის გლეხკაცი, მთლად ობლად გაზრდილი, ძალიან რომ მაგონებდა ილიას პეტრეს, გადმოცემით, სწორედ ამ ადგილებში დახვრიტეს, მე რომ ა?ი წლისა ვიყავი. წარმომიდგება ხოლმე თვალწინ ეს თუშურაქუდიანი, თეთრწვერა ფარაჯიანი კაცი, მისი შეშლილობამდე მისული სახე,— რასა სჩადიო! ე ხო არ დაჰგიჟდიო, ე! დაგიჟებულები კი მაინც უმიზნებდნენ თოფებს, და ის თვალცრემლიანი ბერიკაცი, თავისებური პეტრე ილიასი, უკვე თვითონ ჩაწვინეს მიწაში, უკუბოოდ, მხოლოდ იმაში ეკვმიტანილი, რომ სადღაც რაღაც წუთებში, ისე არ იფიქრა, როგორც თოფიანებს სურდათ, დიდი-დიდი, ხმამაღლაც წამოსცდა იმ ნაფიქრალის რაღაც ნაწილაკი...

რა იმედით ჩავიდა ილია მიწაში და რა დახვდებობა, სულ რაღაც ოცდაათი წლის მერე რომ ახილებოდა თვალი. აი, ნამდვილი“წყევა-კრულვიანი საკითხავი ამ უთავბოლო და უსწორმასწორო წუთისოფელში“...

დიდი კაცები დიდ საფიქრალს მოგვახვევენ ხოლმე თავზე, ერთი ხელის მოსმით ვერ მოიცილებ ამ საფიქრალს, წვერი უნდა უპოვო ნაქსოვს, მერე იჯდე და ეწიო შენსკენ იმ ძაფს. პირველ ხანებში თვალები გექნება შთაგონებით, მოლოდინით სავსე, მერე-მკაცრი, მერე შეშფოთებული, მერე უმეტყველო... ბოლოს კი სხვათა თვალებში ღიმილის მომგვრელი, როგორი თალებიც მჭონდა მე, ლოჭინის აქეთ, გზის პირას ბარიერებად გაყოლიებულ ძველ საბურავებზე რომ ვიჯექი სრულიად მარტო...

ბმული

-ავაი!-ამოიგმინებს შვილებმკვდარი ქართველი დედაბერი და უცებ აშკარა ხდება, როგორ შეიქმნა მითი ექოზე. შავი სამოსის ქვეშ აღარაფერია დარჩენილი გარდა ამ გმინვისა.

დარდიანი ესკიზები საშობაოდ

(დასაწყისი მე-6 გვ.)

რომელმაც მზიანი ჩრდილები იცის და იმ წალკოტის შუაგულში ოქროს აკვანი ასვენია. იქ ჯერ კაცთაგანი ვერ ჩასულა, მხოლოდ სირინოზები ეხვევიან გარს იმ აკვანს, დასტირიან და დამღერიან...

თურმე, ბატონებო, ამბობენ, რომ ეს აკვანი აქ თამარ დედოფალს ჩაუდგამს, ხოლო ერს კი თავისი ნადენი ცრემლით ტბა კარვად გადაუსურავს. ის კი არავინ იცის, ვინ ჩააწვინა ამ აკვანში თამარ დედოფლმა, ან ერმა თავისი ცრემლი ზედ ტბად რისთვის დაახურა.

იქნებ, ბატონებო, იმ კარავში ის ყრმა წევს, ვისი სახელიც არ ითქმის, ვისაც მუდამ ნატრულობს ჩუმი ნატვრით ქართველი.

თუ ასეა, ნეტავი იმ სახელოვან ვაჟკაცს, ვისი ხელიც პირველად დასწვდება იმ ოქროს აკვანს!

თუ ასეა, ნეტავი იმ დედას, ვინც იმ ყრმას მიაწვდის მადლით ცხებულ ძუძუს!

უმორჩილესად გთხოვთ, ავტორს ნუ იკითხავთ —ამ ლექსის ავტორი ყველამ უნდა ვიცოდეთ.

დავფიქრდეთ

კი,თანახმა ვარ,რომ სამოცდაათწლიანმა კომუნისტურმა რეჟიმმა,ამ საუკუნის სისხლიანმა რეპრესიებმა დააშინა, გადააგვარა, გაამლიქვნელა, გაამეკრთამევა ხალხის გარკვეული ფენა, ვინმე დიქტატორის გარეშე ვეღარც კი წარმოუდგენიათ სახელმწიფოს მართვა, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ,რომ ერის ზნეობის გადაგვარება უფრო ადრე დაიწყო-მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს დაპყრობილმა საქართველომ რუსთა კერთებისა ქვეშე იცხოვრა თითქმის ორი საუკუნე და ის სავალალო ამბავი,რომ ზოგიერთ ჩვენგანს კერპის გარეშე სიცოცხლე ვეღარ წარმოუდგენია,სხვის დასაჭერ თუ დასახვრეტ სიასაც აწერს ხელს,“ზვიადი!ზვიადი-საც!“ გაჰყვირის, „კრიმინალურ ინტელიგენციასაც“ ემუქრება,მოკლედ ჟამიანობით შეპყრობილად მოჩანს, ორსაუკუნოვანი მონობის კონკრეტული შედეგია;აქ ყველაფერი ჯაჭვის რგოლებივით არის ერთმანეთზე გადაბმული და ამ ისტერიით,მასობრივი ფსიქოზით გვირგვინდება.

არადა,მოდით,ერთად გავიხსენოთ წინათქმა,რომლითაც მემატიანე იწყებს „ქართლის ცხოვრებაბ“: „არავის ვეყმოთ,არცა ვემონოთ გარეშე ღვთისა დამბადებლისა“.

სხვათაშორის, არც ის იქნებოდა ურიგო,სახარების მეორე მცნებას თუ ჩავუფიქრდებოდით კარგად:

„არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი,არცა ყოვლადვე მსგავსი,რაოდენი არს ცათა შინა ზე და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე, და რაოდენი არს წყალთა შინა ქვეშე ქვეყანისა; არა თაყვენი-სცე მათ, არცა მსახურებდე მას“.

თეორიულად და პრაქტიკულად

თეორიულად, ოპოზიციას იარაღი არ უნდა ჰქონდეს, ოპოზიცია მხოლოდ თავისი აზრით უნდა უპირისპირდებოდეს,თუ ეს საჭიროდ მიაჩნია,ხელისუფლებას.

მაგრამ პრაქტიკულად, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, რაღაი ხელისუფლებამ დაარბია მშვიდობიანი მიტინგები „ციცინათელასთან“ და „იმელის“ ყოფილ შენობასთან, დაიჭირა პოლიტიკური მოწინააღმდეგები თანაც ხალხის სახელით, თუ მეამბოხე გვარდიელები არ დაუდგებოდნენ ტელევიზიასთან, იქაც იგივეს მოიმოქმედდა ხელისუფალთა მიერ მასობრივად ფსიქოზურ მდგომარეობამდე მიყვანილი ფანატიკოს მხარდამჭერთა ბრბო (საკითხავია:ყოფილა ისტორიაში,რომ ოპოზიცია შეიარაღებულ გვარდიას დაეცვას?)

ესე იგი, ჟამიანობით შეპყრობილ ქვეყანაში, სადაც უზნეო ხელისუფლებაა- ნეობოლშევიკური, ყოველისშეუსმენელი, უნიათო, ხალხში ბნელი ინსტინქტების გამღვიძებელი, მისი ბრბოდმქცეველი, რომელიც ასე ჩაფრენია თბილ ადგილს,საკუთარ სავარძელს —ორ სექტემბერს სისხლი დაიღვარა და არ გადადგა, მოუწოდებდნენ კი; 4-5 ოქტომბერს სისხლი დაიღვარა და მაინც არ გადადგა —აუცილებლად უნდა ყოფილიყო შეიარაღებული ძალა,რომელიც ბოლოსდაბოლოს ტახტიდან ჩამოაგდებდა ასე ჯაჯუტებულ პრეზიდენტს,აიძულებდა წასულიყო...

მაგრამ დაღუპულები?

ნუთუ სხვა საშუალება არ არსებობდა, რომ პრეზიდენტი ტახტიდან ჩამოეგდოთ?

სიზმარი

თუ არა ვცდები,სადღაც სამოთხი წლის წინ ერთი სიზმარი ვნახე.მე მომიყოლია ეს სიზმარი ახლობლებისათვის ოჯახში, „ცისკრის“ რედაქციაში,მაშინდელ სამსახურშიც.

ერთად თავშეყრილ ბევრ ხალხში, არ ვიცი „ივერიის“ თუ მთავრობის სახლის წინ ჭაღარათმიანი, შავნაბდიანი ზვიად გამსახურდია იდგა. ხალხი ხოტბას ასხამდა, ტაშს უკრავდა, ყაყანებდა. მერე მოიტანეს ოთხკუთხა სადგამი,სადაც საკარცხული იდგა. იქ ავიდა ზ.გამსახურდია.ხოლო ხალხმა მხრებზე შეიდგა ის სადგამი და მთელ ქალაქში დადიოდნენ.

დაჯდა ზვიადი საკარცხულზე, ლაპარაკი დაიწყო თავის სტილში —ცივად ამბობდა სიტყვებს და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა,თითქოს სიტყვები თავისთავად იქმნებოდნენ ჰაერში და ყველას ეკუთვნოდნენ, ყველას ერთმანეთთან ათანაბრებდნენ, თავიანთ აზრამდე დაჰყავდათ ყველას აზრი; მერე და მერე აზარტში შევიდა, ჯერ ფიცარნაგზე წამოდგა, ლაპარაკს უმატა,უფრო ზევით აქაჩა თვალები,რომლებიც ლამის გადმოუცვივდა ბუდეებიდან,თან ცაში დაიწყო ცქერა. შემდეგ საკარცხულზე ავიდა და იქიდან უფრო უმატა ლაპარაკის ტემპსაც და ხმასაც. გარშემომყოფი ხალხი ღრიანცელითა და შეძახილებით ამხნევებდა...

მერე ვერ ვიტყვი რა მოხდა, ფიცარნაგი შეტორტმანდა თუ ვინმემ ესროლა,ძირს გადმოვარდა და სადაც დავარდა, იმ ადგილზე სისხლი გაჩნდა, რომელმაც იმატა,ზღვად გადაიქცა,აღელდა და მჭადაგებელი შიგ ჩაიხრნო.

აი, ასეთი სიზმარი ვნახე...

ტრაგიკული ფიგურა

ვინც დანგრეული რუსთაველის პროსპექტი ნახა პრეზიდენტის გაქცევის დღეს;

ვინც ჯავშნოსანთა და ტანკების მუხლუხებით გადათხრილ, ავტომატის ტყვიებით მოფენილ ასფალტზე ჩაიარა,შეხედა სასტუმრო „თბილისის“ გადამწვარ,დანგრეულ, კვამლისაგან შავად გაბოლილ შენობას და მის წინ ნომერ 621, აწ დამწვარ ტანკისაგან გადამტვრეულ მსხვილძირა ჭადრის ხესაც შეხედა;

ვინც მერე კავშირგაბმულობის სახლის გაბოლილი,ტყვიებით დაცხრილული შენობა იხილა,ავტომატის ტყვიით ნასხეპ ტოტებზე იარა,გული ჩასწყვიტა პირველი სკოლის დანგრეულმა შენობამ,რომლის წინ შორიდან თითქოსდა უვნებლად, ახლოდან კი ტყვიებით დაცხრილული ილიასა და აკაკის ძეგლი დგას;

ვინც გადახლეჩილი ნაძვები და ჭადრები ნახა,ხეთა მერქანში ჩამჯდარი ტყვიებით;

ვინც უსმინა,თუ როგორ ამტკიცებდა ერთი ვინმე — „თბილისიდან“ დემოკრატები ხოცავდნენ ხალხსო, და მეორე კი პასუხობდა-იქიდან კი მთავრობაო, და მთავრობის ჩამონგრეულ სასახლეზე უთითებდა,რომლის მარჯვენა მხარეს ისევ ენთო ხანძარი;

მოკლედ, ვინც ნაომარი რუსთაველის პროსპექტი ნახა,მოეჩვენებოდა,რომ დაღუპულთა თვალები იცქირებიან გაბოლილი,დანგრეული შენობებიდან,გადამწვარი ამწეებიდან თუ „კამაზებიდან“, ტყვიებით დაცხრილული მანქანებიდან თუ დაბუგული ჯავშნოსნებიდან...

და ამიერიდან ყოველთვის, როცა დაღამდება და ბინდი დადგება ნაომარ პროსპექტზე, მთავრობის სასახლიდან გამოვა ყოფილი პრეზიდენტის — ეჭვიანის,უნდობის,ზედმეტად ფრთხილის, „წესრიგის“ დამყარების იდეებისადმი უსაფუძვლოდ მიდრეკილის, „სიმართლის“ მაძიებლისა და მისი თავდადებული დამცველის,ამერიკის პრეზიდენტის გამკრიტიკებლის ატირებული ლანდი,მოთქმა-გოდებით ივლის იქ და უფრო ააცრემლიანებს დაღუპულთა თვალების დანახვა; მას ხომ უყვარდა საქართველო. ის ხომ მზად იყო,ყველა ქართველი შეეწირა საქართველოს სიყვარულისთვის და ჭეშმარიტად საცოდავი, და საბრალოა იგი — მეოცე საუკუნის ქართული სინამდვილის ტრაგიკული, წინააღმდეგობრივი ფიგურა — თავისი თავისგან ოქროს კერპი რომ შექმნა, კერპთაყვანისმცემლები რომ ამრავლა ერის დაცემულ ნაწილში, ილიასა და აკაკის შეერთებული საქართველო ისევ რომ დაანამცეცა და დაშალა, გადაჰკიდა ძმა ძმას,შვილი მამას, ნათესავი ნათესავს,ხალხის ქვენა ინსტინქტები რომ გააღვიძა,გარშემო ბედკრული,დუხჭირი გონების ხალხი რომ შემოიკრიბა,ერის სისხლში რომ გაისვარა ხელები...

დიდი ბედნიერებაა,იყო იმ ერის შვილი,რომლის წიაღშიც დიქტატურა და დიქტატორი დიდხანს ვერ იბოგინებს და სხვათა შორის, ეს გაკვეთილი უნდა იყოს არა მარტო დღევანდელ,არამედ მომავალ პოლიტიკურ მოღვაწეთათვის.

დროებითი მთავრობის რეზიდენციის დერეფნებში

-გადარეული ვარ პირდაპირ!

-რა გჭირს?

-როგორ თუ რა მჭირს! სროლა რომ ატყდა, ორი საათი მანქანებს შორის ვიყავით ჩაწოლილები,თავს ვერ ვყოფდით ზევით და ჩემი თვალით რომ ვხედავდი, ვინც მესროდა, ახლა აქაა მოსული, თენგიზ კიტოვანის და ჯაბა იოსელიანის კარზე,თანამდებობისთვის ჩამდგარა რიგში სხვა შობელძაღლებთან ერთად,არც იარაღი და არც კალამი ხელში რომ არ აუღიათ პირსისხლიანი ხელისუფლების წინააღმდეგ, სახლში რომ ისხდნენ თბილად და მე, გაიგე კაცო, მე მიმტკიცებს ეგ ვირიშვილი,გახსოვს,პრეზიდენტს როგორ ვებრძოდიო! მოვკლავ, მე მაგისი დედა ვატირე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესაც ოპოზიციაში ვრჩები

(ინტერვიუ ბატონ გოგი ხარაბაძესთან)

ბატონი გოგი ხარაბაძე ის ხელოვანი გახლავთ, რომელიც განზე არ გამდგარა და როცა ქვეყანას უჭირდა, თავისი ერის დარდითა და ტკივილით ცხოვრობდა. ᲛᲨᲕᲘᲓᲐᲓ არსებობას მან შფოთიანი, რისკიანი მოღვაწის ყოფა არჩია.

გიორგი ხარაბაძე ბიოგრაფიული უფლებამოსილებით ხვდება დღევანდელ დღეს. ყველა ტყვიის ქარცეცხლი გაიარა, თავი გადადო მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი ქვეყანა მისი ლიტერატურული წარმოდგენების დონეზე ეგულებოდეს — ᲥᲔᲓᲣᲮᲠᲔᲚᲘ საქართველო, სულით მხნე და თავისუფალი.

ბატონი გოგი ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია.

* * *

— ბატონო გოგი, თბილისში ხმა გავარდა გოგი ხარაბაძე ავტომატით ხელში ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ იბრძვისო. მსახიობ გოგი ხარაბაძეს კარგად ვიცნობ, იარაღით ხელში საომრად წასული კი ვგონებ ფილმში გადაღებულიც კი არ მინახიხართ...

— ყოფილი ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილ ადამიანთა რიცხვში ნამდვილად გახლდით, ოღონდ ავტომატი არასოდეს დამჭირვებია. მითხარით, ვისთვის მესროლა? ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ? რად მინდა იარაღი, პოზიციის გამოსახატავად ჩემთვის სცენა და ტელევიზიაც საკმარისია.

-წინათ ოპოზიციის წარმომადგენელთა მიერ გამართულ მიტინგებზე ხშირად გხედავდით. დღეს მეცნიერებათა აკადემიის შენობაში, სამხედრო საბჭოს შემადგენლობის გვერდით დგახართ. რას ნიშნავს ეს, ოპოზიციონერის როლი ხელისუფლების თაყვანისმცემლის როლში გაცვალეთ?

-მე ხელოვანი კაცი ვარ და ხელისუფლების მსახური ვერასოდეს გავხდები. აკადემიის შენობაში ხშირი გამოჩენა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლებამ ჩემი სახით ერთი ოპონენტი დაკარგა. მე დღესაც ოპოზიციაში ვრჩები. მიმაჩნია, რომ შემოქმედი ადამიანი მუდმივად ოპოზიციაში უნდა იმყოფებოდეს.

ილიასგან მაქვს ნასწავლი, აზრთა ჭიდილის გარეშე საზოგადოების წინსვლა წარმოუდგენელია. საქართველოს ყოფილი ხელისუფლება განსხვავებული აზრის მოსმენის სურვილის უქონლობამ დაღუპა. ოპოზიციის აზრის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, საკუთარი შეცდომებისაგან გამწარებული ქართველი კაცი ახალი ხელისუფლების მიმართაც მკაცრი და დაუნდობელი იქნება.

— ბატონო გოგი, ახალი ხელისუფლების მოსვლას კორუმპირებული მასის ერთი ნაწილის „გამოცოცხლება“ მოჰყვა. მათმა ფუსფუსმა პირადად ჩემში გარკვეული შიში გამოიწვია...

სულ რამდენიმე კვირის უკან სიმართლის თქმისთვის დადუმებული, უსამართლობის ხოტბის შემსხმელი ჩემი კოლეგები ძველი მთავრობის ლანძღვისას დღეს უკვე მაქსიმალისტებად მოგვევლინენ...

— გეთანხმებით. კორუმპირებულ ადამიანთა საშოვარზე გამოსვლის საშიშროება ნამდვილად არსებობს. ოპოზიციის საქმე ბევრად უკეთესად რომ იყო, პირადად მე, სამოთხე იანვარს ვიგრძენი. სამხედრო საბჭოს ირგვლივ „პორტფელიანმა“ ხალხმა დაიწყო ტრიალი. რუსთაველის გამზირზე სისხლი იღვრებოდა, ყოფილი პრეზიდენტი ჯერ კიდევ ბუნკერში იჯდა, ქართველთა ერთი ნაწილი კი ახალი თანამდებობისათვის ემზადებოდა. დღევანდელი ხელისუფლება საოცრად ფრთხილად, უკომპრომისოდ უნდა მოექცეს თანამდებობის მაძიებელ ბალხს. ისე კი, რა საშინელ თვისებებს ვავლენთ ხოლმე ხშირად ქართველები!

— ალბათ იშვიათია ისეთი ქართველი, რომელსაც სამშობლო არ უყვარდეს. ამ სიყვარულსაც თითოეული ჩვენთაგანი სხვადასხვაგვარად ვაცნობიერებთ. როგორ საქართველოში ისურვებდა ცხოვრებას ოპოზიციაში მყოფი გოგი ხარაბაძე?

— საქართველოს სიყვარულში კიდევ ერთხელ მაშინ დავრწმუნდი, როდესაც მივხვდი, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენელთა სახელმწიფოს სათავეში მოსვლის შემდეგ სუნთქვა აღარ შემეძლო, სული მეხუთებოდა. თქვენ მკითხავთ, რატომო? იმიტომ, რომ არ შემიძლია ვუყურო ჩემს სათაყვანებელ ერს სულიერად გახრწნილსა და განადგურებულს, რომელსაც ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი და გოგება შვილი დავიწყნია; 1991 წელი ხომ მათი საიუბილეო წელი იყო. ერთ-ერთი უდიდესი ქართული რომანის, „დათა თუთაშხიას“ ავტორის სამოცდაათი წლის იუბილე გაზეთების „დრონისა“ და „საქართველოს“ მილოცვით შემოიფარგლა. ხელისუფლების მოჭრე მწერლები განსხვავებული პოზიციის გამო გურამ ფანჯიკიძეს დედის სამძიმარზე არ მივიდნენ. ისეთი დიდი მწერალი, როგორიც ბატონი რევაზ ინანიშვილი გახლდათ, ქართველი ხალხისაგან დაუტირებელი მივაბარეთ საფლავს. სტრესულ მდგომარეობაში იყო ქართული მწერლობა. თითოეული ქართველისათვის რას ნიშნავს ეს, ვერ გეტყვით. ჩემთვის ტრაგედიაა. ასეთ საქართველოში ცხოვრება ნამდვილად არ მსურს. იმ საქართველოში, სადაც უარყოფილი [illegible] ბროლინება [illegible] გორც უ[illegible]

[illegible]

ველა მინდა გაგახსენოთ. ფილოსოფიის გამოცდიდან გამოსული, ნიშნით განაწყენებული, ატირებული გოგონა ახალგაზრდა ვაჟმა ასე დაამშვიდა, მსოფლიოს ყველა ფილოსოფოსის შრომები შენს ერთ ცრემლად არ ღირსო...

— ხშირად გაისმის კითხვა: „დემოკრატიული იდეების განხორციელებისათვის ბრძოლა ღირდა ამდენ ცრემლად?“

-სამწუხაროდ, დიქტატორის დამხობა უსისხლოდ არსად არ მომხდარა. საშინელი ტრაგედია დატრიალდა თბილისშიც. დღეს უბედური კაცი ვარ. უბედური ვარ იმიტომ, რომ ქართველი ბიჭები დაიღუპნენ ძმათამკვლელ ომში. პატივს მივაგებ ყოფილი პრეზიდენტის მხარდამჭერთა მხრიდან დაღუპულებს და სამძიმარს ვუცხადებ მათ ოჯახებს.

მაგრამ სიამაყის გრძნობაც გამაჩნია. მიხარია, რომ იმ ერის შვილი ვარ, რომელიც დიქტატორის რეჟიმს ვერ შერიგებია. ეროვნულ გვარდიის ბიჭებს გმირებს ვუწოდებ. დიახ, ეს ის ხალხია, რომელთაც საკუთარი სიცოცხლე თითოეული ჩვენთაგანის სულის თავისუფლების იდეას მოახმარეს.

ესაუბრა

თამრიკო მზეჭალაშვილი



მკითხველთა საყურადღებოდ!

ჩვენი გაზეთის 1991 წლის 20 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი „ვიწყებ შიმშილობას, რომელიც ან სამართლიანობის აღდგენით დასრულდება, ან ჩემი სიკვდილით (განცხადება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს)“.

სამწუხაროდ, კორექტორის უყურადღებობის გამო ავტორის ვინაობა გამორჩენილია.

განცხადების ავტორია საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, იმჟამად პოლიტიკური პატიმარი გიორგი ჭანტურია.

დაშვებული კაზუსის გამო რედაქცია ბოდიშს უხდის ბატონ გიორგისა და მკითხველს.

6 იანვარი. თბილისის ქუჩებში ჯერ კიდევ სისხლი იღვრება. მედროვენი კი დროს არ კარგავენ.



ნახ. რომან ქარჩუსაშვილისა

ინდექსი 66447

ფასი 1 მან.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის პრ. № 35 ტელ. 22-16-01
გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო ქოღალდზე, ხოშარაულის 29.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქტორი ნოდარ გრიგალაშვილი